


რუსულ-თურქული
თანამშრომლობა

A7



ნაბო

A9



მინდა ვიყო მინა

A12



აშშ-ს დაზვერვა საქართველოს შესახებ



დენის ბლერი სენატის დაზვერვის კომიტეტში გამოსვლისას

აშშ-ს ეროვნული დაზვერვის
ოფისის ახალმა ხელმძღვანელმა
დენის ბლერმა სენატის დაზვერვის
საქმეთა კომიტეტს 49-გვერდიანი

მოსხენება წარუდგინა, რომელშიც
აშშ-სთვის მოსალოდნელი
საფრთხეების ანალიზს შეიცავს.
პირველ ადგილზე საფრთხეებს

შორის ეკონომიკური კრიზისი და
ტერორიზმი. დიდი ყურადღება
დაზვერვის შეფუძნა საქართველოში
არსებულ საშიშ ვითარებასა და

რუსეთთან აშშ-ს ურთიერთობების
პრობლემებს დაუთმო.

გაზრდილობა A2 გვირდობა

ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, "ნაბუკოს" პროექტს ეკონომიკური სარგებელი შესძინოს

ინტერვიუ ირანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მოჭთაბა დამირჩილუსთან

ლევან დირსიაშვილი

რამდენიმე დღის წინ, ირანმა
ისლამური რევოლუციის 30
წლისთავი იხეიმა. ცოტა ხნით
ადრე კი, ოფიციალურმა
თეირანმა პირველი კოსმოსური
თანამგზავრი გაუშვა და
განაცხადა, რომ რეგიონში
ზესახელმწიფოს როლის
შესასრულებლად უკვე მზადაა.
რას უნდა ელოდოს საქართველო
კავკასიის რეგიონში ირანის
გავლენის გაძლიერებისგან? ამ
და სხვა საკითხებზე "24 საათი"
საქართველოში ირანის
საგანგებო და სრულუფლებიან
ელჩს მოჭთაბა დამირჩილუს
ესაუბრა.

- ბატონო ელჩო, პირველ
რიგში, მინდა, მოგილოცოთ
ირანის ისლამური რევოლუციის
30 წლისთავი. როგორ შეაფა-
სებდით უკანასკნელი პერიო-
დის მანძილზე ირანის საეკონომი-
კური მდგომარეობის საქართველოში
და რა გეგმების განხორციელებ-
ას აპირებთ ახლო მომავალში?

გაზრდილობა A3 გვირდობა



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
ინილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI
ბორჯომი

GRDC
გროუპ

ჯი ჯი ჯი
შენი სადაზღვეო ჯგუფი

საქართველოს განვითარებას, ევროპასთან ურთიერთობის გასაძლიერებლად, სხვა ალტერნატივა არ აქვს

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის განცხადებით, "საქართველოს განვითარებას ევროპასთან ურთიერთობის გასაძლიერებლად, სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რა არის ევროკავშირი, რას ნიშნავს მასთან დაახლოება, რა არის ამ ეტაპზე ყველაზე აქტუალური და როგორია ამ მიმართულებით საქართველოს უახლესი გეგმები".

მან ამის შესახებ პარლამენტის მედიაციის განყოფილებაში გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა. გუშინ, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა და ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრმა ყოველთვიური ერთობლივი დაიჯესტის "ევროპის დროით" პრეზენტაცია გამართეს.

"ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტს და მასთან მჭიდროდ თანამშრომლობს. ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ურთიერთობას, რადგან მისი საქმიანობა უშუალოდ მიმართულია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებისკენ," - განაცხადა საქართველოს პარლამენტის რეფორმების მხარდაჭერი პროექტის - EUSPGeorgia (EU/GTZ) - ხელმძღვანელმა ბერნარდ შლოერმა.

დარჩიაშვილის განცხადებით, "დაიჯესტის გამოცემის მიზანია საზოგადოებისთვის ნათელი გახდეს, რას ნარმოადგენს ევროკავშირი. ყოველთვიური დაიჯესტი არის გარკვეული ხიდი ევროკავშირთან ურთიერთობის პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის".

ბიულეტენში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ევროკავშირში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრის სამომავლო გეგმებს. დაიჯესტი ყოველთვიურად გამოვა, როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული ვერსიის სახით. 24 საათი

ევროსასამართლოში მორიგი სარჩევარი მზადდება

დავა ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურსა და ამხანაგობა "ივერიას" შორის გრძელდება.

გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლოში აღნიშნულ დავასთან დაკავშირებული პროცესი გაიმართა. მოსარჩელე მხარე - ამხანაგობა "ივერია" - მოითხოვს, პასუხი აგებინოს მერიის ზედამხედველობის სამსახურსა და კონკრეტულ პირებს თაბუკაშვილის N 50 მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დანგრევის გამო. მოპასუხე, მერიის ზედამხედველობის სამსახური კი ამტკიცებს, რომ სარჩელი ვადების დაგვიანებით იყო წარდგენილი და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა რაიმე იურიდიული ღირებულების მქონე დოკუმენტს. საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, რადგან მიიჩნია, რომ სარჩელი ვადების დაგვიანებით იყო შეტანილი სასამართლოში. როგორც ამხანაგობის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, იგი აპირებს, მიმართოს ევროსასამართლოს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის, ასევე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 2007 წლის 20 ივლისს დაანგრა, ხოლო მაცხოვრებლები ძალისმიერი მეთოდებით გამოასახლა. თაბუკაშვილის ქუჩის ყოფილი მაცხოვრებლები საუბრობენ იმაზეც, რომ კორპუსის დემონტაჟის დროს სპეცრაზმმა მათი კუთვნილი ნივთები გაანადგურა. გუშინვე, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ამხანაგობის წევრები სახალხო დამცველის ოფისში შეიკრიბნენ. სოზარ სუბარმა თანადგომა აღუთქვა მათ. 24 საათი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწერალ ნუზარ შატაიძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

ნუზარ შატაიძის

აშშ-ს დაზვერვა საქართველოს შესახებ

პირველი გავრცედა

დენის ბლერმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი პოტენციურ ცხელ წერტილებად რჩება. "რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნა და ამ რეგიონებთან რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა, მხარდ დაძაბულობასთან ერთად, ზრდის პროვოკაციების რისკს და შესაძლოა, საბრძოლო მოქმედებების განახლება გამოიწვიოს," - განაცხადა ბლერმა.

საქართველოს შიდა პოლიტიკაზე საუბრისას დაზვერვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ "იმის მიუხედავად, რომ საქართველოში პოლიტიკური

ვითარების სტაბილიზაცია მოხდა, პრეზიდენტ სააკაშვილს ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს. მისი რეაქცია ამ კრიტიკაზე ან გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, ან უკან გადასწევს მას".

აშშ-ს დაზვერვის ხელმძღვანელი ვრცლად შეეხო რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივებს, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების შემცირების სფეროში. მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ მოსკოვი ამისთვის გარკვეულ მზადყოფნას გამოთქვამს, მოსკოვთან მოლაპარაკებებს სირთულეს უქმნის ისეთი საკითხები, როგორცაა ნატო-ში გაფართოება, კონფ-

ლიქტები საქართველოს რეგიონებში და რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვა ევროპაში.

"მოსკოვი მუდმივად ხაზს უსვამს, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაერთიანება საფრთხეს შეუქმნის შეიარაღებაზე კონტროლის არსებულ რეჟიმს და მოლაპარაკებებს, ამას შეიძლება მოჰყვეს სამხედრო სახის კონტრაზომები რუსეთის მხრიდან, ასევე თბილისსა და კიევი მიხი ზეწოლის გაძლიერება," - აღნიშნა ბლერმა.

მისი თქმით, მიუხედავად სირთულეებისა რუსულ შეიარაღებულ ძალებში, მათ საქართველოს არმიის დამარცხება შეძლეს.

"ბოლო რამდენიმე წელი-

წადში მოსკოვი აძლიერებდა კონვენციურ შეიარაღებულ ძალას, რათა იგი საგარეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოეყენებინა, გაეკეთებინა აქციონტი პოლიტიკურ აღმავლობაზე და დაემტკიცებინა თავისი დომინირება ისეთ მეზობელ ქვეყნებზე, როგორც საქართველო," - განაცხადა ბლერმა.

მისი თქმით, გამონევა აშშ-სთვის "საკუთარ ძალაზე მოსკოვის წარმოდგენაა". კერძოდ რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ბირთვულ შეიარაღებას, როგორც აშშ-სა და ნატო-ს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეების გაუფრთხილებლად საშუალებას.

საკუთარი ინფორმაცია

დროებითი კონსენსუსი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ შუალედური ვარიანტის მოძებნა მოახერხა: გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში უფლებამოსილებების ვადა ოთხ თვით - 2009 წლის 15 ივნისამდე გაუგრძელდა. იმას, რომ რუსეთმა რეზოლუციის მიღება არ დაბლოკა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი იმით ხსნის, რომ "ვეტოს გამოყენებას თავისი პოლიტიკური ფასი აქვს და მოსკოვმა ჩათვალა, რომ დღეისათვის ამის გაკეთება საჭირო არ იყო".

როგორც ირკვევა, ამ ეტაპზე, დამკვირვებლების ახალი მანდატი რუსი ოკუპანტებისა და აფხაზი სეპარატისტების პრეტენზიებსაც შეესაბამება.

"რეზოლუციის პროექტის ყველა პუნქტი მოსაწონი არ იყო. მიუხედავად ამისა, ამჯერად თავი შევიკავეთ სახელწოდების მითითებისა და ამ თემაზე კამათისგან. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ამერიკულ დელეგაციასთან და მათ განგვიმარტეს, რომ მანდატთან დაკავშირებით პოზიციის შესამუშავებლად შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების გამო ვერ მოიცალეს და ამ საკითხის გადასაწყვეტად დრო სჭირდებათ. ამიტომ, ჩვენ დავტოვე ოთხი თვით ვაუტრეტი დედი," - აღნიშნავს აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ გუშინ მიღებულ რეზოლუციას ოფიციალური თბილისიც მიესალმება.

"მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში დაფიქსირებულია უშიშროების საბჭოს მიერ ადრე მიღებული იმ რეზოლუციების მხარდაჭერა, რომლებშიც საზღვარსარღვეო საქართველოში ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რომ ეს რეზოლუცია საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას მიიპყრობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულების აუცილებლობას. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ რეზოლუციის რამდენიმე მონაკვეთ-

ში არის ლაპარაკი იმაზე, რომ დენილები უპირობოდ და აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს," - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე.

მოსკოვის მიერ რეზოლუციის პროექტზე ვეტოს არდადებასთან დაკავშირებით ვაშაძე შენიშნავს, რომ, როგორც ჩანს, იზოლაციაში ყოფნა რუსეთსაც მოეზურდა.

"არ შეიძლება, მუდმივად ყველაფერზე იძახო "არა". ეს ცალსახად წარმოაჩენს რუსეთის დამანგრეველ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში," - დასძენს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

საკუთარი ინფორმაცია

ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრი ინფორმაციას უზუალოდ მოქალაქეებისგან მიიღებს

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ოფისში 16 თებერვლიდან ფუნქციონირებს დაინყებს ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც მოქალაქეებს კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" პროგრამის დირექტორის ნინა ხატისკაცის განცხადებით: "ჩვენ უკვე ვფიქრობთ დაახლოებით სფეროებზე და მიმართულებებზე, საიდანაც შეიძლება იყოს ყველაზე მეტი პრობლემები შემოსული. ნინასნარ არ გვინდა კომენტარის გაკეთება, რადგან ცენტრის მიზანია სწორედ მოქალაქეებისგან მიღებული კონკრეტული პრობლემებიდან გამოიკვეთოს რა სფეროშია

ყველაზე მეტი კორუფცია. აქამდე ამას აკეთებდნენ ექსპერტების შეფასებების საფუძველზე, ახლა უკვე თავად მოქალაქეები შეაფასებენ." ანტიკორუფციულმა საკონსულტაციო ცენტრმა საცდელი პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა. რადიო "თავისუფლების" პირდაპირ ეთერში რამდენიმე მოქალაქის პრობლემები მოისმინეს და კონსულტაციაც გაუწიეს. ნინა ხატისკაცის თქმით: "რადიო "თავისუფლების" ეთერში საკმაოდ ბევრი ზარი შემოვიდა კონკრეტული პრობლემებით. ერთი პრობლემა უკავშირდებოდა მცირე მენარმეს, რომელსაც საგადასახადოდან უქმნიდნენ პრობლემებს, კერძოდ ფულს სძალავდნენ, იყო მოქალაქე რომელსაც პრობლემები საჯარო რეესტრთან დაკავშირებით

ქქონდა, დავიკრეკეს რეგიონიდანაც და გვითხრეს რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან გაზის გაყვანასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები. ეს იყო ის შემთხვევა, რომელიც უკვე გამოვლინდა და რაზეც რეაგირებას მოვახდენთ."

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" პროგრამის დირექტორის ნინა ხატისკაცის განცხადებით ანტიკორუფციული ცენტრის ახლა შექმნა არ უკავშირდება დღევანდელ პოლიტიკურ რეალიებს. "ჩვენ სურვილი გვქონდა რამდენიმე წლის წინ გაგვეხსნა ეს ცენტრი. მსგავსი ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოზე ბევრად უფრო დემოკრატიულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც, დაახლოებით 30 ქვეყანაში.

მსგავსი ცენტრის შექმნა დროული იქნება ათი წლის შემდეგ და დროული იყო ათი წლის წინაც რომ შექნილიყო. უბრალოდ ჩვენ აქამდე ვერ მოვახერხეთ და დღეისთვის შევქმენით ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრი" - აღნიშნა ნინა ხატისკაცმა.

ცენტრი არ აწარმოებს საგამომძიებლო საქმიანობას და არ წამოიწვევს კამპანიას კონკრეტული საჯარო მოხელისათუ სახელისუფლებო სტრუქტურის წინააღმდეგ.

ანტიკორუფციული ცენტრი იმუშავებს ყოველდღე. დაინტერესებულ პირებს უფასო ცხელი ხაზის საშუალებით (822009 888) შეუძლიათ ცენტრს კორუფციასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე ინფორმაცია მიანოდონ.

24 საათი

ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, "ნაბუკოს" პროექტს აკონსტიტუციონოს სარბიხელი შესძინოს

პირველი გვირგვინი

- მადლობას გიხდით მოლოცვისთვის. როგორც იცით, საელჩოს მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ორი ქვეყნის დაახლოებას და თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა სფეროებში - როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი კუთხით. ირანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. სწორედ ამის შემდეგ ამოქმედდა ირანის საელჩო საქართველოში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო ირანისთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა. უკანასკნელ პერიოდში საელჩო მუშაობს იმ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებზე, რომლებიც უნდა დაიდოს და შესრულდეს ორმხრივი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

- როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება საგრძობად შეიცვალა, განსაკუთრებით გასული წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ. მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალბა ყალიბდება. ამავდროულად, კავკასიის რეგიონში რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება. ცოტა ხნის წინათ თურქეთის ხელისუფლებამ გამოთქვა ინიციატივა - ითამაშოს დადებითი როლი კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების მოგვარების საქმეში. ასევე ცნობილია რუსეთისა და აშშ-ს ინტერესები. ასეთ რეალბაში, რა როლი შეიძლება იტვირთოს ირანმა?

- რამდენადაც კავკასიის რეგიონში არსებული ვითარება გავლენას ახდენს ირანის სტაბილურობაზე, აქაურობა ირანის ყურადღების ეპიცენტრშია. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ კავკასიაში დამყარდეს სტაბილურობა და მშვიდობა. კავკასიაში არის ცხელი წერტილები და აგვისტოს მოვლენებმა დაგვანახა, თუ როგორ სამიშია ამ კერების გაღრმავება და საფრთხის შექმნა მშვიდობისათვის. ასევე, ჩვენ რეგიონში სხვადასხვა ძალების ინტერესების შეჯახებას ვხედავთ. გარდა ამისა, ვანყდებით სხვადასხვა სახის ეთნიკურ პრობლემებს, რომლებიც, ერთად აღებული, არასტაბილურ კერებს ქმნიან. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ჩვენ აქტიური კონსულტაციები გავმართეთ როგორც რეგიონის ქვეყნებთან, ასევე ევროპულ სახელმწიფოებთან, რუსეთისა და თურქეთის ჩათვლით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეგიონში სტაბილურობის დამყარების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს ყველა პოტენციური შესაძლებლობა.

- როგორც მოგეხსენებათ, რუსეთი აქტიურებს პოლიტიკას თავის მეზობელ ქვეყნებთან, რათა მოახდინოს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკების აღიარების ფორსირება. თუ მიმდინარეობს ამ მხრივ რაიმე სახის კონსულტაციები ირანსა და რუსეთს შორის?

- უნდა ვითხარათ, რომ ისლამური რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაა. თუ ადრე, რევოლუციამდე, ირანის საგარეო პოლიტი-

კაზე სხვა სახელმწიფოებს ჰქონდათ გავლენა, რევოლუციის შემდეგ ვითარება შეცვლილია. თანამედროვე ირანის საგარეო პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზეა დაფუძნებული. ბუნებრივია, ევროპულ ქვეყნებთან და რუსეთთან მოლაპარაკებების დროს განიხილება კავკასიის საკითხი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

- ეს ნიშნავს, რომ ირანის ეროვნულ ინტერესებში ერთიანი და ძლიერი საქართველო შედის?

- დიახ, და მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ირანი ყოველთვის საქართველოს გულთხადი მეგობარი იქნება.

- მოგეხსენებათ, მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის წინაშე დგას. დასავლეთი აქტიურად ეძებს რუსეთისგან გვერდის ავლით ენერგეტიკის ალტერნატიულ წყაროებს და მარშრუტებს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად "ნაბუკოს" პროექტი სახელდება. არის თუ არა ირანის ჩართვის შესაძლებლობა ამ პროექტში? რა როლი შეიძლება დაეკისროს ირანს და როგორ იქნება საქართველოსთან თანამშრომლობა "ნაბუკოს" ფარგლებში.

- როგორც თქვენ აღნიშნეთ, ენერგოსაფრთხოება მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. ენერგეტიკული რესურსების მწარმოებლებს და მომხმარებლებს ისეთი პირობების შექმნა სურთ, როდესაც ბაზარზე სტაბილურობა დამყარდება და მუდმივად იქნება მიწოდების არსებობა - ასე ვთქვათ, როცა ორივე მხარე მშვიდად და არხეინად იქნება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ყველა ცდილობს ალტერნატიული წყაროების არსებობას და ბაზრების გამოძენას. როგორც მოგეხსენებათ, ირანი ამ საკითხში საკმაოდ გავლენიანი სახელმწიფოა, რომელსაც გაზისა და ნავთობის ძალიან დიდი მარაგი გააჩნია. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ირანის როლი და ადგილი გათვალისწინებულია. ირანიც, თავის მხრივ, დადებითად და მისთვის სასარგებლოდ განიხილავს "ნაბუკოს" პროექტს. ევროპის სახელმწიფოებმა, როგორც მომხმარებლებმა ქვეყნებმა, არაერთხელ გამოთქვეს თვითნებური დიდი ყურადღება ევროპის სწავლა-განათლებას და მეცნიერებას და ამ სფეროში განვითარების ზრდის მაჩვენებლებით ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოა. ირანმა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია კოსმოსური ტექნოლოგიების, ბირთვული ენერგეტიკის, მედიცინის და ნანოტექნოლოგიების სფეროებში. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეთ ლეროვანი უჯრედების გამოყენებაში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა ცხვირის კლონირება, ასევე გამოყენებული შიდსის და კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ბაზარზე, როგორც მსოფლიო ბრენდები.

- კასპიის რეგიონის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს კასპიის ზღვის შეღვის გადანაწილება წარმოადგენს. როგორია ამ პრობლემების განაწილება ირანის პოზიცია და როდისთვის უნდა ველოდეთ აღნიშნული დისპუტის გადაჭრას?

- ირანის გაზის ექსპორტისთვის ევროპაში ყოველთვის გათვალისწინებულია საქართველოს მარშრუტის გამოყენება, რადგან ეს ძველი და ნაკადი მარშრუტია. ჩვენ ვერ უნდა დაველოდოთ იმ კვლევების შედეგებს,

რომლებიც "ნაბუკოს" პროექტის ირგვლივ მიმდინარეობს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო გამოყენებული იქნება როგორც ერთ-ერთი სატრანზიტო გზა.

- საკმაოდ დიდი აუიოტაუი გამოიწვია ირანის მიერ კოსმოსური თანამგზავრის გაშვება აშშ-ს პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ ირანი რეგიონის ზესახელმწიფო ხდება. ხომ ვერ განმარტავდით როგორც ამ მოვლენის, ასევე პრეზიდენტ აშშ-ს განცხადების მნიშვნელობას.

- პირველ რიგში, უნდა განვაცხადო, რომ მოვლენა, რასაც ირანის მიერ კოსმოსური თანამგზავრის გაშვება ჰქვია, ისლამური რევოლუციის შედეგია. პირველი მონაპოვარი იყო საზოგადოების მიერ საკუთარი ძალების რწმენა და განმტკიცება, ხოლო მეორე - მეცნიერების და განათლების სწრაფი განვითარება. თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული 30 წლის მანძილზე ირანი სხვადასხვა სანქციებით იყო შეზღუდული, ირანულ სტუდენტებს არ ჰქონდათ უცხოეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების საშუალება და მიუხედავად ამისა, გაშვებულ იქნა კოსმოსური ხომალდი, ეს ცხადყოფს, თუ როგორ დიდი საქმე გაკეთდა ირანში მეცნიერების განვითარების კუთხით. უნდა განვაცხადო, რომ ამ კოსმოსურ თანამგზავრს არანაირი სამხედრო დანიშნულება არ ექნება. ეს არის პირველი თანამგზავრი და ის გამოყენებული იქნება გეოლოგიის და ჰიდროლოგიის განვითარების მიზნით. ირანი სხვა თანამგზავრების პროექტებზეც მუშაობს, რომლებიც ასევე სამეცნიერო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული, რაც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას ქვეყანაში. დასავლეთის პრესის შემოთქმა, რომელმაც ამ თანამგზავრს საფრთხე უწოდა, უსაფუძვლოა. დასავლეთის შემოთქმების მიზეზი კი ვასაგებია - მათ ხელს არ აძლევთ ამ კოსმოსური ტექნოლოგიების სფეროზე დაწესებული მონოპოლიის გარღვევა ირანის მხრიდან. როდესაც ირანის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ირანი ხდება ზესახელმწიფო, ის, პირველ რიგში, სწორედ მეცნიერებას გულისხმობს. უკანასკნელ პერიოდში ირანში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა სწავლა-განათლებას და მეცნიერებას და ამ სფეროში განვითარების ზრდის მაჩვენებლებით ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოა. ირანმა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია კოსმოსური ტექნოლოგიების, ბირთვული ენერგეტიკის, მედიცინის და ნანოტექნოლოგიების სფეროებში. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეთ ლეროვანი უჯრედების გამოყენებაში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა ცხვირის კლონირება, ასევე გამოყენებული შიდსის და კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ბაზარზე, როგორც მსოფლიო ბრენდები.

- კასპიის რეგიონის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს კასპიის ზღვის შეღვის გადანაწილება წარმოადგენს. როგორია ამ პრობლემების განაწილება ირანის პოზიცია და როდისთვის უნდა ველოდეთ აღნიშნული დისპუტის გადაჭრას?

- ეს ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით - ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მთავარი პრიორიტეტი ურთიერთობების გაღრმავებაა მეზობელ ქვეყნებთან და მათ შორის, რასაკვირველია, საქართველოც არის.

- კასპიის ზღვის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტბის, სამართლებრივი რეჟიმი ირანისა და სსრკ-ს შორის დადებული ორი ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. ჯერჯერობით კასპიის ზღვის არანაირი განაწილება არ მომხდარა და საზღვრები არ განსაზღვრულა. ამ ხელშეკრულებებში ბევრი საკითხი არ არის გათვალისწინებული. ჩადებული იყო, ძირითადად, თევზჭერის და ნაოსნობის საკითხები, ნავთობმოპოვებაზე კი არაფერი იყო ნათქვამი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი კასპიის აუზის ქვეყნების რიცხვი გაიზარდა და ჩვენ ამ ზოლში ერთბაშად, ერთი სახელმწიფოს ნაცვლად, 4 ქვეყანა მივიღეთ. შესაბამისად წინა პლანზე წამოვიდა ახალი საკითხები და დანერგა ახალი მოლაპარაკებები. ზოგიერთ საკითხზე, როგორცაა ეკოლოგია, მიღწეულია შეთანხმებები. მოლაპარაკება კიდევ გრძელდება და, უნდა ითქვას, საკმაოდ კონსტრუქციულადაც მიმდინარეობს. თუმცა არის უთანხმოებებიც. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ როდის დასრულდება ეს მოლაპარაკებები და როდის და რა სახით განისაზღვრება კასპიის ზღვის სტატუსი.

- ორიოდე სიტყვით ირანის არჩევნებსაც შევხებით. დასავლურ გამოცემებში უკვე იწერება გარკვეული პროგნოზები ირანში ხელისუფლების შესაძლო ცვლილების შესახებ. აქედან გამომდინარე, რამდენად შესაძლებელია ირანის საგარეო პრიორიტეტების შეცვლა?

- ძალიან საინტერესო საკითხს შეეხება. ირანში არჩევნების ჩატარება ისლამური რევოლუციის მონაპოვარია. დღემდე, 30 წლის მანძილზე, 29-ჯერ ჩატარდა სხვადასხვა დონის არჩევნები. ახლაც, რადენიმე თვეში, ირანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და ხალხი ახალ ხელისუფლებას აირჩევს. ეს იქნება საკმაოდ კონკურენტული არჩევნები. რაც შეეხება არჩევნების შედეგების გავლენას ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, უნდა მოვასხებოთ, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი საგარეო პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც ხელშეუხებელია და არასდროს იცვლება. ერთ-ერთი ასეთი პრინციპია კარგი და ნორმალური ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის აშშ-სთან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს უკვე შესაძლებელი გახდება აშშ-ს ადმინისტრაციის სათავეში ბარაკ ობამას ყოფნის პირობებში. ზოგადად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ არჩევნებმა გარკვეული გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმებზე, თუმცა, ის ფუნდამენტური პრინციპი, რომ მსოფლიოს ქვეყნებთან კარგი და მჭიდრო ურთიერთობა გვექმნება, არ შეიცვლება, რადგან ეს ირანის კონსტიტუციით არის დამყარებული.

- ეს ნიშნავს იმას, რომ ირანს, მუდმივ ინტერესებთან ერთად, მუდმივი მეგობრებიც ჰყავს?

- ეს ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით - ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მთავარი პრიორიტეტი ურთიერთობების გაღრმავებაა მეზობელ ქვეყნებთან და მათ შორის, რასაკვირველია, საქართველოც არის.

ქართულ სოფლებს ცეცხლი გაუხსნეს

გუშინ რუსი ოკუპანტების მიერ კონტროლირებადი ცხინვალის რეგიონის სოფელ წნელიდან შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ისინი ავტომატური და მსხვილკალიბრიანი იარაღიდან ორი საათის განმავლობაში ინტენსიურად ისროდნენ. ცეცხლის გახსნის შედეგად ქარელის რაიონის მოსაზღვრე ფრონეს ხეობის სოფელ სუნისში ორი საცხოვრებელი სახლი გადაინვა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. **მედიანიუსი**

"რუსეთი კიდევ ერთხელ დაარღვევს აღებულ ვალდებულებას"

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ კარპენტერმა სოხუმში გამართული შეხვედრის დეტალები სამეგრელოს ვიცე-გუბერნატორს პირადად გააცნო. კარპენტერის თქმით, კონფლიქტის ზონაში არის უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობა, ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და გართულებულია კრიმინოგენული ვითარება. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ რუსი სამხედროები იღებენ. მან რუსული ბაზების მშენებლობის შესახებაც ისაუბრა: "გავეცანი გალში არსებულ ვითარებას, შევხვდი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათთან კიდევ ერთხელ დავადასტურე, რომ აშშ არ ცვლის პოზიციას და მხარს დაუჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება გუდაუთასა და ოჩამჩირეში სამხედრო ბაზების მშენებლობას, თუ ეს მართლა მოხდა, ამით რუსეთი კიდევ ერთხელ დაარღვევს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს," - აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

დამატებით 80 დამკვირვებელი

უთო-ს მუდმივმა საბჭომ მიიღო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს N861 გადაწყვეტილების ყველა მოთხოვნის სრულფასოვან შესრულებას. კერძოდ, ის გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე დამატებით უთო-ს 80 დამკვირვებლის განლაგებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება უთო-ს მუდმივი საბჭოს გადაწყვეტილებას. "ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებში უთო-ს სამხედრო დამკვირვებლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეუფერხებლად შეასრულონ მანდატით დაკისრებული მოვალეობანი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პირველ ყოვლისა, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს ოკუპანტების სამხედრო პოტენციალის მუდმივი გაძლიერება და გამაღებელი მილიტარიზაცია," - აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბრიტანეთის ლორდთა პალატა აგვისტოს ომის შესახებ

ბრიტანეთის ლორდთა პალატის ევროკავშირის კომიტეტის მიერ აგვისტოს ომის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირის მაშინდელმა თავმჯდომარე ქვეყანამ საფრანგეთმა "სწრაფად და ნარმატივით" იმოქმედა და ცეცხლის შეწყვეტას მიაღწია. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ აგვისტოს ომის გამოწვევი ზუსტი გარემოებები ვერ კიდევ გასარკვევია, თუმცა აშკარაა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები რუსეთმა სრულად არ შეასრულა. მოხსენებაში დართულია რუსეთში ბრიტანეთის ყოფილი ელჩის, სერ როდრიკ ლაინის განცხადება, სადაც ის გამოთქვამს ეჭვს, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთთან მიმართებაში წინდაუხედავი პოლიტიკა აწარმოვა. მისი თქმით, "ეს გამოიხატა მოსკოვში "გაღიზიანებასა და პროვოცირებაში. სააკაშვილი ვაშინგტონის ნეოკონსერვატიულმა ელემენტებმა ნააქვს, რომ ასე მოქცეულიყო და მომხდარბე ბუშის ადმინისტრაციამაც უნდა აიღოს სერიოზული პასუხისმგებლობა," - აღნიშნა როდერიკ ლაინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

უგულავას ვიზიტი

გუშინ თბილისის მერი გიგი უგულავა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებს შეხვდა. ის პატარების ნამუშევრების გამოფენას დაესწრო. თბილისის მერიის დაფინანსებით არასამთავრობო ორგანიზაციამ "კეთილი ნების დესპანა" პროექტი "ჩემი თბილისი" განხორციელა. პროექტი მომზადდა უნარშეზღუდული ბავშვების დამატებითი განათლებისა და საზოგადოებასთან ინტეგრირების ხელშეწყობისთვის. პროექტის ფარგლებში სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის სურდოთარგმანით შესრულებული სპეციალური ვიდეოდისკი შექმნა, რომელიც თბილისის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებზე მოგვითხრობს. **პირველი**

23 წლის ახალგაზრდა დედას, თამარ კობაურს სასწრაფოდ ესაჭიროება ძვლის ტვინის გადანიღრვვა ქალაქ მიუნხენში. ოპერაციისთვის 280 ათასი ევროა საჭირო. დახმარების მსურველებისთვის საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში ნანა ბარბაქაძის სახელზე. ანგარიშის ნომერია **895500100**. ასევე დაგვიკავშირეთ ტელეფონის ნომერებზე **877 43-16-57, 895 92-98-60 ან 822 96-95-20**

საერთო მტრები და წმინდა ომები

დავიდ ამრბენბარნი
საპოლიტიკო "24 საათისათვის"
თბილისიდან

1939 წლის 1 სექტემბერი წყალგამყოფია კაცობრიობის სისხლიან და ხშირად ბედვრულ ისტორიაში. განდიდების მანიით შეპყრობილმა ყოფილმა ეფრეიტორმა სასაკლავოზე გაუშვა გერმანიის, ამ დღად ერის, მკვლელად ქცეული გენოფონდი. აღმოსავლეთში არანაკლებ პირსისხლიანი, და კიდევ უფრო მანიაკალური იდეებით შეპყრობილი ყოფილი ტერორისტი დახვდა.

დაეტყვა მანიაკი მანიაკს. და ფსიქიატრის ორი პაციენტის გლობალურმა შეჯახებამ ათობით მილიონი ადამიანი შეინირა.

1945 წლის მაისი უფრო დიდი წყალგამყოფია. როგორც იქნა, გაჩერდა ბაალის ხორცსაკეპი. თავში ხელი შემოირტყა ჰომო საპიენსმა და შეწყვიტა იმ ტოტის ხერხვა, რომელზეც თავად იყო შემოსკუპებული.

და რომელზე აძრომასაც ათასწლეულები მოანდომა.

ორი კვირით ადრე მინამ მიობრა ანხანავი ადოლფი, რადგან სიკვდილს სულ ფეხებზე ჰკიდია დიქტატორიც და დისიდენტიც. რვა წლის მერე ამხანავი იოსებს გამოუყვარა ცელი ცელი.

შეიქმნა გაერო, ხანდახან იმპოტენტი, ხანდახან უსაზომოდ ძლიერი, ნამდვილად მსოფლიო ალიანსი.

გამოიყენეს ბირთვული იარაღი და ასიათასობით უდანაშაულო ადამიანს ნაშპი წარათვის ყველაზე ძვირფასი, რაც მათ გააჩნდათ - სიცოცხლე. იბღავლა შეძრწუნებულმა ოპენჰაიმერმა და თავში შემოირტყა ხელი.

ერთი მეორეზე გესლანის მოთხოვნები დაწერა აიზეკ აზიმოვმა, შეეჯახა მიზანთროპული იდეებით შეპყრობილი ვაი-პოლიტიკოსებს. არწმუნებდა, რომ ბირთვული იარაღი სამუდამოდ მოსპობდა სიცოცხლეს.

გულზე შემოეყარა აინშტაინს. მიხვდნენ ევროპელებიც, რომ ომი სისულელეა და სისხლს მხოლოდ სისხლი მოაქვს. მიხვდნენ და შექმნეს ევროკავშირი. ჩემი მოკრძალებული აზრით, პოლიტიკური აზროვნების ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ძლიერი და, სავარაუდოდ, ყველაზე დღევანდელი ალიანსი.

მეორე მსოფლიო ომი ხორცსაკეპი იყო, მათ შორის - გერმანული სისხლის და ხორცის. ნარჩენი ხორცი. ვინ იცის, რამდენი ვერშემდგარი ბეთჰოვენი, მანი თუ შოპენჰაუერი დამინდა სადღაც ბელარუსის ველდებში?!

უფრო დიდი ხორცსაკეპი ოცდაათწლიანი ომი იყო. გერმანიის მოსახლეობის ლამის ერთი მესამედი ამონკიცეს მაშინ. გრაფმა ტილიმ ყელი გამოსჭრა თავისუფალ ქალაქ მაგდებურგის მთელ

მოსახლეობას. სამი წლის წინ ხორვატიაში შეეხვდი ადამიანის უფლებათა ძალიან ცნობილ დამცველს. ფროიდის გენიალური ფრაზა გამოიყენა დიპლომატის: "იმ ადამიანმა, ვინც პირველად გალანდა მეორე, თავში ქვის ჩარტყმის მაგივრად, შექმნა ცივილიზაცია!" კარგად უნდა დავიმახსოვროთ ეს, ჰომო საპიენსებო.

2001 წლის 11 სექტემბერიც ისეთივე დიდი წყალგამყოფია, როგორც 1648, 1776 ან 1945.

სავარაუდოდ ქუჩასუსტმა პარანოიკმა ძარღვის აუტოკებლად ამობუგა 3,000 ადამიანი, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ დილას სამსახურში მივიდნენ.

სხვათა შორის, მაჰმადიანებიც იყვნენ მათ შორის, მაგრამ უსამა ბინ შაითანს ეტყობა ყურანი ქოთანი ჰგონია. ჯანდაბას. ზავაჰირის მაინც ხომ აქვს დოქტორის ხარისხი? თუ მანაც დესერტაცია დაიცვა დისერტაციის მაგივრად? კაცობრიობას რამდენიმე მოსისხლე მტერი ჰყავს და მათ მოსპობას ყველას ერთიანი ძალისხმევა დასჭირდება.

მტერი N1: ტერორიზმი, მისი შემსრულებლები და ხელშემწყობნი. უყურეთ "მიუნხენს", "ქვედანაყოფ დელტას", "ფარენჰეიტ 9/11"-ს.

ორ თებერვალს, პოლიციელის ფორმაში გადაცემულმა პაპიშმა ავღანეთის ქალაქ ყანდაჰარში პოლიციის საწვრთნელ ბაზაში შეაღწია და 21 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ისევე როგორც 11 სექტემბერს, ამ ადამიანების ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ სამსახურში გამოცხადდნენ.

ტერორი შიშს ნიშნავს ლათინურად, ეს კარგად ეცოდინება პატივცემულ მკითხველს. ტერორიზმის უმთავრესი იარაღი ამოუცნობი, უხილავი, პირუტყვიული შიშის დანერგვაა, და მოაზროვნე ადამიანების იოლად გასაკონტროლებელ ცხვრის ფარად გადაქცევა.

იმ ოცდაერთმა ც აღბათ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ზოგიერთი მათგანი ტერორის მსხვერპლი გახდებოდა. რას იზამ? ავღანეთი ღარიბი ქვეყანაა და კალთებს არავინ არავის აგლეჯს შრომის ბირჟაზე. არც პროფკავშირებია იქ და არც ე.წ. "ოქროს პარაშუტები". ეტყობა სინდისი ჰქონდათ და ყოველდღე სიკვდილის ყურება ერჩიათ ჰეროინით "ბაროგობას" და სხვისი შვილების მონამვლას. შვილები კი ყველას ჰყავს, და ანტი-ტერორისტის შვილაც ისევე შია, როგორც ტერორისტისას. სხვათა შორის, არც ხელფასებია შესაშური, მითუმეტეს, თუ რისკს გავითვალისწინებთ.

ესეც არაა მთავარი. მთავარია ის, რომ ტერორის გადალახვა ერთადერთი, მაგრამ უძლეველი იარაღია ტერორისტის წინააღმდეგ. მიხვდნენ ამას ბრიტანელები 2005 წელს და ჩვეულებრივად

გააგრძელეს ცხოვრება. ერთი პატარა დეტალის გამოკლებით: ბრიტანულ მედიას თუ დაფუჯვრებით, 4 მილიონი ვიდუოკამერა იცავს ლონდონელების მშვიდ ძილს.

ტერორიზმი ადამიანს მგლად აქცევს მეორე ადამიანისათვის. მეორე ადამიანის, ჯოგის შიშს უნერგავს ზოოლოგიურად სოციალურ, ჯოგურ ცხოველს. ერთმანეთის ნდობა რომ არ ყოფილიყო, ჰომო საპიენსის დარჩენილ სამ მეთხედსაც შეახრამუნებდა ადამიანის ძველთაძველი და ნომერ პირველი მტერი, ხმალკბილა ვეფხვი მახაიროდი. ვერ შეახრამუნა. სწორედ იმიტომ, რომ ყოველი დაცემულის უკან მეორე და უფრო გაბრაზებული პირველყოფილი იდგა და თვალებსშუა ურახუნებდა ქვის ხელცულს.

პაპაჩემი ორი წელი იბრძოდა პარტიზანებთან ერთად, სადღაც რუმინეთის ტყეებში. ვინმე ქართველი მოხვდა მის ჯგუფში და მოუთხრო თავისი ამბავი თანემებრძოლებს: დასახვეტად გაიყვანა ტყვედ ჩავარდნილი თინეიჯერი ქართველი ასევე თინეიჯერმა გერმანელმა. ტყეში შეიყვანა და ეუბნება, გაიქციო.

იგივეც ტყვემ: გაიქცეოდა და ზურგში დაახლიდნენ შპისერის ტყვიას.

კბილები დაცინვით დაკრიჭა გერმანელმა. სტვენა-სტვენით ნავიდა უკან. ოციოდე ნაბიჯზე ავტომატი დაღო და გაავრძელა გზა. უკან არ მოუხედავს.

არც ქართველი გაქცეულა ავტომატისაკენ, რადგან არსებობს რალაკები, რაც არასოდეს უნდა გააკეთო ადამიანმა, თუ გინდა, რომ ადამიანივით მოგექცნენ. არაადამიანებს ძალიან ცუდად ექცევიან.

გავიდა რამდენიმე წელი და რუსთაველზე ლილინით მიმავალ ქართველს ტყვე გერმანელ მუშებს შორის თავისი მხსნელი შეერჩა. ეტყობა პარლამენტის შენობას, რომ გერმანელების აშენებულა: ანგრეს და ვერ დაანგრეს თბილისის ომის დროს. ჩამოკიდებული სვეტიცკი არ ჩამოვარდნილა.

ნაიყვანა სახლში და მეფესავით ჰყავდა რამდენიმე დღე. მერე ჩეკისტები მიადგნენ ქართველს და ციმიბრში უკრეს თავი.

თხუთმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა ციმიბრიდან და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ნელინადმი ორჯერ გერმანიაში ისვენებდა.

ტერორისტს სწორედ ამ ურთიერთნდობის მოსპობა სურს. სურს, მთელი კაცობრიობა თავისნაირ ტვინგამოცილი იმბეცილად აქციოს.

მტერი N2: ტრეფიკინგი, მისი შემსრულებლები და ხელშემწყობნი. უყურეთ მუდისონის შედეგებს.

სხვათა შორის, ლილია რუსია, სუფთა სისხლის, ეთნიკურად რუსი, რუსე-

თის მოქალაქე. მუდისონის კომარების შესახებ ჯერ არ დაუწერით ჟურნალისტებს, რომლებსაც გულზე ნამდვილად არ ეხატებათ თავისებური, მაგრამ გენიოსი რეჟისორი. გადახედა სტატისტიკას და უსახელო ათასეულებისაგან პერსონიფიცირებული, ტრაგიკული გმირი შექმნა. სახელით, გვარით. ბავშვი, ჯერ კიდევ ბავშვური სიცილით.

ვისი სიცოცხლეც მავანი ცხოველების ჰუმბერტ-ჰუმბერტისეულ კომპლექსებს შეეწირა. ერთი შეხედვით სოლიდური, მდიდარი, ჭარმაგი ბატონი სინამდვილეში დაკომპლექსებული, ნახევრადიმპოტენტი კრეტინი აღმოჩნდა. მამონას მონა. ასეთებს თვით მეგა-არაკაცი ჰიტლერიც ვერ იტანდა, და ვისაც მისწვდა, ყველა გაზკამერაში გაგუდა.

ჩემი მეგობრები ICMPD-ში მუშაობენ. მიგრაციის საკითხებით დაკავებული ავტორიტეტული ორგანიზაციაა, ავსტრია-შვეიცარიაში ბაზირებული. ჰოდა, ვთარგმნე რამდენიმე წერილი. მათი, ვინც თავმესაფარს ითხოვდა ევროპაში. და თმები მხოლოდ იმიტომ არ დამიდაგა ყალყზე, რომ თავი გადაპარსული მქონდა.

ესეც კიდევ ერთი მტერი, ბატონებო. ყველა ნორმალური, საღად მოაზროვნე ჰომოს საპიენსის საერთო მტერი.

ასეთები სამწუხაროდ ბევრნი არიან და პატივცემულ მკითხველს თავს აღარ მოვაბებრებ. დანარჩენებს მომდევნო სტატიებისათვის შემოვიწახავ.

იქნებ უმჯობესი იყოს, ბატონო ვლადიმირ და ბატონო დმიტრი, თქვენი ქვეყნის ნალები ინტელექტი, პატარა ქვეყნების ინტერნეტ-საიტებზე შეტევების ნაცვლად, სხვა მიმართულებით ნაგე-მართათ? იქნებ თქვენი ნაქები და მართლაც კარგი ლამის მონადირე შეუღლმფრენები სომალიში გადაგესროლათ? ნუთუ საამაყო არ იქნება სუვოროვის დროშის ქვეშ მცურავი ახალი რუსული კრეისერი შიშის ზარს სცემდეს ბევრი, მათ შორის რუსული, დაუცველი გემების ნახევრადმშვიტი ეკიპაჟების მკვლელ არაკაცებს?! მე მგონი, თავად სუვოროვიც იამაყებდა ამით.

ანდა კოდორის ხეობაში დესანტირების ნაცვლად იგივე "სპეცნაზი" და იგივე "ოზნაზი" ნიხლით ამტვრევდეს რუსეთის მორიგი იატაკქვეშა "პრიტონის" კარს, სულგაყიდულ მცველებს თავპირს ალუნავდეს და ჩალის ფასად გაყიდული ოცდამეერთე საუკუნის არასრულწლოვანი მონები გამოჰყავდეს? მათ შორის - საკუთარი თანამოქალაქეებიც, იქნებ ნაცუბებიც. განა არ მოგიწონებდათ "რკინის ძერჟინსკი"?!

ომი საჭიროა, ვეთანხმები ნიცმეს. უყურეთ ტელევიზორს, იკითხეთ პრესა: **ჭეშმარიტად ღირსეული ომებია საომარი**, ბევრად უფრო მშინდა, ვიდრე ჯვაროსნული ომები და ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანების ხოცვა. ღმერთის

სახელით. სულით მეომარია ჰომო საპიენსი, და არა მტაცებელი. მიუხედავად ამისა, ყველა მტაცებელზე აღმატებული: რადგან სამყარო ორ ნაწილად იყოფა, ღონზე დაფუძნებულ მართლებად და გონზე დაფუძნებულ მმართველებად. ეს მე არ მითქვამს. მაკიაველმა თქვა ხუთი საუკუნის წინ.

ჰომო საპიენსს ძალუძს ვეფხვის თავის ქალა ჩატეხოს ერთი დარტყმით, კამეჩს გადაუმტვრიოს ხერხემალი. "სიკვდილის სუნთქვაც" არსებობს სინამდვილეში, ოღონდ არა ისე, ვან დამი რომ აკეთებს ფილმში. ოცი აგურის გატეხვას ფიზიკურად ვერ გასწვდება ტრიცეფსის კინეტიკური ენერჯია. სხეულის ლამის მთელი ენერჯიის ერთ ნერტილში კონცენტრირებით ამტრევენ მათ. "ჯინ ლეკი" ეწოდება აღმოსავლური ორთაბრძოლების ჟარგონზე - შინაგანი ენერჯია.

ასე რომ, იქნებ სხვა, ნამდვილად მტერი მტრებისათვის შემოგენახათ ჯერ კიდევ ჯანსაღი კუნთები, ბატონო ვლადიმირ და ბატონო დმიტრი? უბრალოდ სასაცილოა, ხმელეთის თითქმის ერთი მერვედი მასზე 217-ჯერ პატარა ქვეყნის დამარცხებით რომ ტრანაბობს. უფრო მეტიც "ო ჯ" ეს ძალიან მაოცებს დოსტოევსკის და პლატონოვის, ვისოცკის და გრებენიკოვის ერისაგან. გულწრფელად მაოცებს.

პატარა ქვეყნის "დანაშაული" მხოლოდ თავისუფალი არჩევანის გაკეთება იყო. ამიტომ მართალია იგი ყველას წინაშე: ზეცით დანყებულნი და საერთაშორისო სამართლით დამთავრებულნი.

არჩევანი ახლა თქვენზეა: არჩევანი ალექსანდრე სუვოროვსა და მარკოზ მინძავეს, ალექსანდრე ფლემინგსა და უსამა ბინ შაითანს შორის.

P.S. ტუფების სექტა, საიდანაც ინგლისური სიტყვა "thug" მომდინარეობს, სიკვდილის ქალღმერთ კალის სცემდა თავყვანს და შარფებით ახრჩობდა მგზავრებს. დღისით-მზისით. გზებზე და ფუნდუკებში. მძინარეთ და მღვიძარეთ. საუკუნეების მანძილზე ასიათასობით უდანაშაულო ინდოელი დაახრჩვით უსამა ბინ შაითანის სულიერმა ძმებმა. დავასრულეთ? სიამოვნებით.

მხარი მხარს მისცეს ვაჟკაცმა ბრიტანელებმა და ვაჟკაცმა ინდოელებმა. გეამებით აავსეს ჰინდოსტანის ნახევარკუნძული. უკლებლივ ყველა ტუფა ჩამოახრჩეს.

იქნებ დროა, გამოიღვიძონ დიდმა ერებმა?! ტერორისტს და ტრეფიკერს სულ არ აინტერესებს ეროვნება და მოქალაქეობა. ორივეს სისხლი და ხორცი უნდა. პირველს - დამახინჯებული და უსიცოცხლო, მეორეს - ნორჩი და მფეთქავი.

"Therefore, never send to know for whom the bell tolls, - ოთხი საუკუნის წინ დაწერა ჯონ დონმა, - it tolls for thee!"

თანამდებობის დასახელება: ფილიალის მთავარი ინჟინერი კომპანია: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“



განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 22 თებერვალი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ აცხადებს კონკურსს **ფილიალის მთავარი ინჟინრის** თანამდებობებზე, სრულ საშტატო ერთეულებზე დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ, დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ, აჭარის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის ფილიალებში.

სამუშაო ადგილი: ქუთაისი, სენაკი, მცხეთა, რუსთავი, გორი, ბათუმი, ახალციხე.

ამოცანები და მოვალეობები:

- გააკონტროლოს ენერგოობიექტებზე მეთოდური მუშაობა, მომუშავე ელექტროტექნიკური პერსონალის ტექნიკური სწავლების, სპეციალური მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში;

- მეთვალყურეობა დაანესოს ელექტრომონტაჟის ექსპლუატაციისას და რემონტების ჩატარებისას სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების ღონისძიებების განხორციელებაზე.

- უზრუნველყოს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროდინამიკების უფრო საიმედო, ეკონომიურ და უსაფრთხო მუშაობას;

- უზრუნველყოს ენერგოდანადგარების და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო მზადყოფნა;

- ორგანიზება გაუწიოს ელექტროტექნიკური პერსონალისთვის შრომის დაცვის ინსტრუქციებისა და ზემდგომი ინსტანციების მიერ შემუშავებული პროგრამების და მითითებების გაცნობას;

- სისტემატური კონტროლი დაანესოს დაქვემდებარებული პერსონალის მიერ სახელმწი-

ფო, სანარმოო, შრომის შინაგანაწესის, შრომის კანონმდებლობის დაცვაზე.

საჭირო კვალიფიკაცია:

1. განათლება:

- უმაღლესი ენერგეტიკული განათლება

2. პროფესიული მოთხოვნები:

- შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება.

3. სხვა მოთხოვნები:

- გუნდური პრინციპით მუშაობის უნარი

- საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მასშტაბით გამგზავრება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით

პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს შეუძლიათ გამოავაზონ რეზიუმე, შევსებული განაცხადის ფორმა და კანდიდატის მიერ შედგენილი პროგრამა რეგიონის ტექნიკური სამსახურის საქმიანობის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე ელექტრონულ ფოსტაზე: vacancy@energo-pro.ge ან წარმოადგინონ აღნიშნული დოკუმენტები სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მისამართზე: სანდრო ეულის ქუჩა N1ა **2009 წლის 22 თებერვალამდე**. გთხოვთ, სათაურში მიუთითოთ იმ თანამდებობისა და რეგიონის დასახელება, რაზეც აკეთებთ განაცხადს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდება განაცხადის განხილვა. მხოლოდ შერჩეულ კვალიფიციურებულ კანდიდატებთან მოხდება დაკავშირება და მათ ჩაუტარდება წერილობითი ტესტირება. ხოლო ტესტირების შედეგად შერჩეულ კანდიდატებს, ჩაუტარდება გასაუბრება მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამის ირგვლივ. ტესტების სავარაუდო შეკითხვებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 895 95 00 87.

კოლონიაში შიშობილობის აქციით იმუქრებიან

სასჯელალსრულებების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა წყალტუბოში, სოფელ გეგუთში, ვარციხის დასახლებაში მდებარე N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება გახსნა. დაწესებულების გახსნას ადამიანის უფლებათა დამცველი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებიც ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პატიმრებს შეხვდნენ.

"პატიმრებს უნდა მიეცეთ ხანგრძლივი პაემნის უფლება," - განაცხადა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა სულხან ლლონტიმ, რომელიც სოფელ გეგუთში საპატიმროს გახსნას დაესწრო. "შევხვდით პარტიმრებს. დაწესებულება ახალ გარემონტებულია და პირველი ეფექტი ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მთავარია, როგორ ექცევიან პატიმრებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კონკრეტული ინფორმაცია არ

გვგვაჩნია. თუმცა გვაქვს პატიმრების წერილები, რომელსაც შევისწავლით. მინისტრთან შევთანხმდით შემდგომ თანამშრომლობაზე და ერთად გავვივლით ყველა მნიშვნელოვან საკითხს," - განაცხადა სულხან ლლონტი. მისივე თქმით, მინისტრის წინაშე დაისვა მრავალი საკითხი პატიმრების მდგომარეობის შემსუბუქების თაობაზე, მათ შორის, პაემნების ვადის განგრძობის შესახებ. "პირადად დავაყენე სა-

კითხი, რომ პატიმრებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნის უფლება. მინისტრი დაგვთანხმდა, რომ ამ საკითხის განხილვა დაიწყება," - განაცხადა ლლონტი. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის გიორგი ლაღის განცხადებით კი, რუსთავის მე-2 კოლონიის პატიმრები შიმშილობის დანაშაულებით იმუქრებიან. "სასჯელალსრულების დაწესებულების რუსთავის N2 კოლონიიდან დამიკავშირდნენ პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და მითხრეს, რომ ათასამდე პატიმარი საფრთხეშია. ეს გამოიწვია იმან, რომ 9 თებერვალს ამ დაწესებულების პატიმრებმა ღია წერილით მიმართეს ახალ მინისტრ დიმიტრი შაშკინს და აცნობეს, რომ გაუსაძლის პირობებში

იმყოფებიან," - განაცხადა გიორგი ლაღიმ. მისივე ინფორმაციით, ამ ფაქტმა დაწესებულების დირექტორის გიორგი კინაველიძის და მთლიანად ადმინისტრაციის გაღიზიანება გამოიწვია. "ისინი პატიმრებს მობილური ტელეფონის, სხვა აკრძალული ნივთების "აღმოჩენით" და სასჯელის დამატებით ემუქრებიან. თუ ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრებზე ზეწოლა არ შეწყდება, პატიმრები შიმშილობის ფართომასშტაბიანი აქციის დაწყებას გეგმავენ," - განაცხადა გიორგი ლაღიმ. კოლონიაში, რომელიც გათვლილია 2000 ადამიანზე ამჟამად, იმყოფება 3000 პატიმარი. ფართომასშტაბიანი შიმშილობას ზაზა დავითაია და შალვა რამიშვილიც შეუერთდებიან. საკუთარი ინფორმაცია

სტრასბურგის სასამართლოში განაცხადი გაიზარდა

დინანა ჩხიკვაძე

ქიბარ ხალვაშის ადვოკატები სტრასბურგის სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. როგორც ქიბარ ხალვაშის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, სარჩელი შეეხება საქართველოს მართლმსაჯულების მხრიდან სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და საკუთრებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლების დარღვევას.

"პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ გამოვაჭყევეთ ყველა იმ მოსამართლის სია, ვინც ჩვენი აზრით, ის არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საა-

პელაციო სასამართლომ 3 კვირაში დაასრულა ყველა ჩვენი სააპელაციო საჩივრის განხილვა და იგივე გადაწყვეტილება გამოიტანა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო არ მიიღებს ჩვენს საკასაციო საჩივარს წარმოებაში და მას დაუშვებლად ცნობს. ამიტომ, გვინდა ვთხოვოთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არ შელახოს ამ კომპანიების კანონით გათვალისწინებული უფლებები და დასაშვებად ცნოს საკასაციო საჩივრები, განიხილოს და არ წავკარგოთ სასამართლო უფლება," - აცხადებს ქიბარ ხალვაშის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია. მისივე თქმით, ადვოკატებს უკვე აქვთ უფლება, სტრასბურ-

გის სასამართლოს მიმართონ, ამიტომაც, სარჩელის შედგენა დასრულებულია, მიმდინარეობს დოკუმენტის თარგმნა და, დაახლოებით, 10 დღეში განაცხადი სტრასბურგის სასამართლოში გადაიგზავნება. "ჩვენ ევროსასამართლოს სამართლიანი სასამართლოსა და საკუთრების დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით მივმართავთ," - აცხადებს დიმიტრი გაბუნია, რომლის თქმითაც, სტრასბურგში შევა სარჩელი ასევე ტელეკომპანია რუსთავი-2-თან დაკავშირებითაც. ადვოკატები მესაკურისთვის რუსთავი-2-ის ჩამორთმევასაც გასაჩივრებენ. დიმიტრი გაბუნიას ინფორმაციით, 25 თებერვალს ხელისუფლება ქიბარ ხალვაშის ქონებას სახელმწიფო აუქციონზე გაიტანს. ადვოკატის თქმით, ამ

მიზნით ქიბარ ხალვაშის კუთვნილი კომპანია "ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი"-ი ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. ხალვაშის რამდენიმე მილიონიანი ქონების ახალი მესატრონე სწორედ აღნიშნული აუქციონის შემდეგ გაირკვევა. ქიბარ ხალვაშის ერთ-ერთი ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, ქართველმა სამართალდამცველებმა ქიბარ ხალვაშს ბრალი წაუყენეს ორი მუხლით - 189 მუხლით თაღლითობისთვის და 210-ე მუხლით - საგადასახადო დოკუმენტების გაყალბებისთვის. ქიბარ ხალვაშმა 2007 წელს დატოვა საქართველო. 2008 წლის 15 იანვარს გერმანიის მთავრობამ მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი. საკუთარი ინფორმაცია

სასამართლოში სტაჟიორთა კონკურსი გამოცხადდა

საჩხერის რაიონულ სასამართლოში სტაჟიორების მსურველთათვის საბუთების მიღება დაიწყო. სტაჟიორების კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს იურისტის კვალიფიკაცია. ასევე, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. სტაჟიორები, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაივლიან ექვსთვიან სტაჟიორების კურსს და სასამართლოს შესაბამისი მოხელის მეთვალყურეობით, კონკრეტულ, ცალკეულ დავალებას შეასრულებენ. სტაჟიორების წარმატებით დასრულების შემდეგ კი სერტიფიკატს მიიღებენ. კონკურსი ტესტირების ან გასაუბრების ფორმით ჩატარდება. საკუთარი ინფორმაცია

გლდანის ხიდიდან გადავარდნილი მამაკაცი იპოვეს

თბილისში, დიდი დიღმისა და გლდანის დამაკავშირებელ ხიდიდან ამავე ხიდიდან გადავარდნილი და დაშავებული უცნობი მამაკაცი იპოვეს. როგორც "მედიანიუსს" სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრესსამსახურში განუცხადეს, მამაკაცი, დაახლოებით, 40-45 წლისაა. მას პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ აღმოაჩნდა. უცნობი მამაკაცი სხეულის მრავლობითი დაზიანებით აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. იგი, სავარაუდოდ, სკლეროზით არის დაავადებული და სახლიდან გაურკვეველი მიზეზით გავიდა. ოჯახი სასწრაფო დახმარების სამსახურს უკვე დაუკავშირდა, რომელიც სახლიდან გაპარულ სკლეროზით დაავადებულ წევრს დაიქებს. ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა ხიდიდან ნაპოვნი მამაკაცი ამ ოჯახის წევრი. მედიანიუსი

საქართველოში სექსუალური მანიაკი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სექსუალური მანიაკი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული ადრე ნასამართლევია, 1984 წელს დაბადებული დავით პილპილაშვილი, რომელიც ძარცვასა და გაუკუღმართებულ ფორმით სექსუალური კავშირის დამყარებაშია ეჭვმიტანილი. ეჭვმიტანილი მსხვერპლს თავს ესხმოდა, ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ კი ძარცვავდა და აუპატიურებდა. გამოძიება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 138-ე მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს, მას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. პირველი

ქუთაისში ეკლესია გაქურდეს

ქუთაისში ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი უკვე მეოთხედ გაიქურდა. მძარცველებმა ყულაბა გატყეს და შეწირული თანხა - 50 ლარი და საეკლესიო ნივთები წაიღეს. დამნაშავეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება. პირველი

სტრასბურგის სასამართლოში 49 საქმე გაიზარდა

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" სტრასბურგის სასამართლოში აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთა 49 საქმე გადაგზავნა. "აღნიშნულ საქმეებში 340 დაზარალებულის ინტერესთა გათვალისწინებული. სტრასბურგის სასამართლოში საქმის განხილვა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და ჩვენ ამ საქმეების დაჩქარებული წესით განხილვას მოვიტოვებთ. გარდა ამისა, მოვიტოვებთ, ევროსასამართლო საქართველოში ფაქტების დამტკიცების კომისია მოავლინოს, რომელიც საქმის ვითარებაში ადგილზე გაერკვევა," - განუცხადა ჟურნალისტებს საია-ს თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა. მისივე თქმით, აგვისტოს ომის დროს ოკუპანტები მასობრივად აკავებდნენ და ტყვეობაში ამყოფებდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც მონურად ამუშავებდნენ. "დაზარალებულთა ნაწილი გახდა ნამების, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. საქმეები, რომლებიც ევროსასამართლოში გაიგზავნა, ძირითადად ევროკონვენციის ისეთი მუხლების დარღვევას ეხება, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ნამება, არადამიანური მოპყრობა, პირადი ხელშეუხებლობა და დისკრიმინაცია," - განმარტა ხიდაშელმა. პირველი

სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი პატარკაციშვილის ქონებასთან დაკავშირებული დავის განხილვა გააგრძელა და ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

ჯოზეფ ქეისა და პატარკაციშვილის ქვრივს შორის მიმდინარე დავას თბილისის საქალაქო საქმეთა კოლეგია განიხილავს. სხდომაზე მოსარჩელე მხარის - ჯოზეფ ქეის წარმომადგენელმა ითხოვა, სასამართლომ ჯოზეფ ქეი აღიაროს ბადრი პატარკაციშვილის ნების აღმსრულებლად და სამკვიდროს მმართველად, ამ უფლების განხორციელებას კი არ უნდა შეეშალოს ხელი. აგრეთვე, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხე მხარემ აანაზღაუროს სასამარ-

თლოს ხარჯები. როგორც მოსარჩელე აცხადებს, მას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე აქვს უფლება განკარგოს და გაუნაწილოს ქონება მემკვიდრეებს, რომლებიც ბადრი პატარკაციშვილმა დაასახელა. როგორც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი აცხადებს, ქონების განმკარგავს არ აქვს უფლება გარდაცვლილის ქონება გამოიყენოს საკუთარი სურვილისამებრ, განმკარგავი ვალდებულია გარდაცვლილის ანდერძისამებრ გადაუნაწილოს მემკვიდრეობა პირველი რიგის მემკვიდრეებს. მოპასუხე მხარე - პატარკაციშვილის ოჯახის წევრები, უარს აცხადებენ ჯოზეფ ქეის, როგორც სამკვიდროს მმართველის აღიარებაზე. მათ მიანიჭათ, რომ ჯოზეფ ქეის სამკვიდროს მმართველად აღიარებით

დიდი საფრთხე ემუქრება ბადრი პატარკაციშვილის ქონებას. უფრო მეტიც, პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატები, მოითხოვენ დაისაჯონ ჯოზეფ ქეისის მოწმეები მათ მიერ მიცემული ცრუ ჩვენებებისთვის. სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარე ითხოვდა სასამართლოს ბათილად ეცნო ჯოზეფ ქეის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ვინაიდან, საკუთარი ექსპერტების დასკვნის მიხედვით მიანიჭათ, რომ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერები გაყალბებულია. საკუთარი ექსპერტების დასკვნის მიხედვით, საპირისპიროს ამტკიცებდა მოსარჩელე მხარე. საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის მოთხოვნა და ჯოზეფ ქეის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტე-

ბად მიიჩნია. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. სასამართლო სხდომა გადaiდო 20 თებერვალს და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე სწორედ ამ პროცესზე გახდება ცნობილი. დავა პატარკაციშვილის ქონებისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთაც მიმდინარეობს. კერძოდ, ლონდონში, სადაც ბორის ბერეზოვსკი უჩივის პატარკაციშვილის მეუღლეს ინა გუდავას და გარდაცვლილის ქონებაზე აცხადებს პრეტენზიას. გიბრალტარის, აშშ-სა და ლიხტენშტეინის სასამართლოებში კი, დავა ძირითადად, პატარკაციშვილის ქვრივს ინა გუდავას და ჯოზეფ ქეის შორის მიმდინარეობს. 24 საათი

დეპუტატის განცხადება

საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრმა, დეპუტატმა ჯემალ საჯაიამ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს განცხადებით მიმართა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვალს, წყნეთში, თამარ მეფის ქ. N54-ში მდებარე საცხოვრებელიდან, პოლიციამ ძალის გამოყენებითა და კანონის უხეში დარღვევით, თავის მრავალწლიან ოჯახთან ერთად მეორედ გამოძევნა, რის გამოც, ჯემალ საჯაიამ პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყო.

საჯაიას განცხადებით, 2005 წელს საქართველოს პროკურატურის დადგენილების, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნისა და სამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მას დროებით საცხოვრებელი დაუბრუნდა.

"მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად ვფლობდი დროებით სარგებლობაში გამოცემულ ყოფილ, ამორტიზირებულ სატრანსპორტო საშუალებას, ან. 11 თებერვალს ჩემი ოჯახი ხელმეორედ დაარბიეს. სათანადო დოკუმენტის წარმოდგენისა და გაფრთხილების გარეშე აღრიცხეს ქონება, ჩამოგვართვეს პირადი ქონება და საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილი. ეს ყველაფერი გაურკვეველი მიმართულებით 2 სატვირთო მანქანით გაიტანეს," - ნათქვამია მის წერილში.

საჯაია კანონიერების აღდგენას, დამნაშავეების დასჯას და უკანონო საკუთრების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას ითხოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

აშშ-ში ავიაკატასტროფის შედეგად 49 ადამიანი დაიღუპა

"სი-ენ-ენის" ინფორმაციით, კომპანია "კონტინენტალის" სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც 48 მგზავრი და ეკიპაჟის წევრები იმყოფებოდნენ "ბაფალო" აეროპორტის შემოგარენში საცხოვრებელ სახლს დაეცა. კატასტროფის ადგილზე ძლიერი ცეცხლი გაჩნდა.

ადგილობრივი საინფორმაციო ხაზის "ბაფალო-ნიუსის" ინფორმაციით, დაღუპული 49 ადამიანიდან 44 მგზავრია, ოთხი ეკიპაჟის წევრი და ერთი სავარაუდოდ, იმ სახლის მცხოვრები, რომელსაც თვითმფრინავი დაეცა. ცნობილია ასევე, რომ რამდენიმე დაშავებული ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

აშშ-ის ფედერალური საავიაციო სამსახურის მტკიცებით, ბორტზე 48 ადამიანი იმყოფებოდა.

პირველი

ამერიკის სენატმა დაზვერვის ცენტრალური ბიუროს დირექტორის კანდიდატურა დაამტკიცა

ამერიკის სენატმა დაზვერვის ცენტრალური ბიუროს დირექტორის პოსტზე პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ შეთავაზებული ლეონ ედვარდ პანეტას კანდიდატურა დაამტკიცა. მანამდე კი, 6 თებერვალს მისი კანდიდატურა სენატის დაზვერვის კომიტეტში, ორდღიანი მოსმენების შემდეგ მოინონეს და დაამტკიცეს.

ლეონ ედვარდ პანეტა, რომელიც წარმოშობით კალიფორნიის შტატის ქალაქ მონტერეიდანაა და იტალიელი ემიგრანტების შთამომავალია, გამოცდილი იურისტად და პოლიტიკოსად ითვლება.

1994-1997 წლებში თეთრს სახლში მუშაობის გარდა, ლეონ ედვარდ პანეტა კონგრესის წევრი იყო კალიფორნიის შტატიდან. უკანასკნელ პერიოდში კი, კალიფორნიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობდა.

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს პოსტზე პანეტას კანდიდატურის წარდგენისას ობამამ განაცხადა, რომ ის ბოლოს და ბოლოს მოახერხებს, კონგრესმენებსა და მხვერავებს შორის ნორმალური ურთიერთობების დაამყაროს.

ჯი-ეიჩ-ენი

ნიკოლა სარკოზის მოკვლით ემუქრებიან

ქალაქ ბეზიეს მერიამ ნიკოლა სარკოზისა და ქალაქის მერის, სენატორ რეიმონ კუდერკას სახელზე შევიდა მუქარის წერილი. ამის შესახებ სენატორმა კუდერკამ განაცხადა.

მერიამ შესულ ორმაგ კონვერტში ტყვია და მიმართვა აღმოაჩინეს, რომელიც 5 თებერვალს სამხრეთ ქალაქ მონპელიედან იყო გაგზავნილი.

წერილის ავტორი საფრანგეთის პრეზიდენტს წერილის პირველივე აბზაცში ემუქრება მოკვლით, მეორე აბზაცში კი ქალაქის მერს.

კუდერკას შეფასებით, წერილი ფსიქიკურად გაუნონანსორებელი ადამიანის მიერ არის დაწერილი, რომელიც შესაძლოა, რეალურ საფრთხეს წარმოადგენდეს.

პირველი

ახალი მტკიცებულებები ყოფილი რუსი პოლკოვნიკის წინააღმდეგ

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა, კოლონიდან ვადაძე ადრე გათავისუფლებული რუსული არმიის ყოფილი პოლკოვნიკის იური ბუდანოვის წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმის აღძვრის საფუძველი სამართალდამცველი სტრუქტურებისადმი ჩეჩნეთის ომბუდსმენის მიმართვა გახდა. გარდა ამისა, როგორც რუსული პრესა წერს, ყოფილი პოლკოვნიკის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ხელი იმ ფართომასშტაბიანმა საპროტესტო აქციებმაც შეუწყო, რომლებიც მისი ვადაძე ადრე გათავისუფლების დღესვე დაიწყო. 17 წლის ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას გატაცებისა და მკვლელობისთვის გასამართლებულ პოლკოვნიკს ამჟამადაც მსგავს დანაშაულს ედავებიან. ამჯერად, საუბარია ჩეჩნეთის სამ მშვიდობიან მოქალაქეზე, რომლებიც, საქმის მასალების მიხედვით, იური ბუდანოვმა გაიტაცა და სიცოცხლეს გამოასალმა.



აქცია ჩეჩნეთში



იური ბუდანოვის წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

რომ ბუდანოვი მართლაც მონაწილეობდა ჩეჩნეთის გატაცება-მკვლელობებში. გამოძიების მასალებით, ვახა ტიტაევას, ვისიგა არსანუკაევას, ჰუსეინ დუდაევისა და მაგომედ დელმუხანოვის გატაცებასა და მკვლელობებში სწორედ ყოფილი პოლკოვნიკი ურევია. გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ ეს დანაშაულები იური ბუდანოვის ჩადენილი აქვს 2000 წლის იანვარში - ელზა კუნგაევას გატაცება-მკვლელობამდე სამი თვით ადრე. 1998 წლიდან 2000 წლამდე, ჩეჩნეთის ომის დროს, იური ბუდანოვი სატანკო პოლკს მეთაურობდა.

ახალი საქმის მასალებით, 2000 წლის 15 იანვარს ვახა ტიტაევა, ვისიგა არსანუკაევა, ჰუსეინ დუდაევი და მაგომედ დელმუხანოვი, ახლობლებთან ერთად, ჩანგი-ჩუს დასახლებიდან შატისკენ მიემგზავრებოდნენ. ბლოკ-პოსტთან ისინი დააკავეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ათი დღის შემდეგ, სამი მათგანის ცხედარი ერთ-ერთ სასაფლაოზე იპოვეს. მეოთხე მათგანის, დელმუხანოვის ბედი დღემდე გაურკვეველია. ის უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში ითვლება. ცხედრების პოვნისთანავე, სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა. თუმცა, გამოძიება მალევე შეწყდა მკვლელობაში ეჭვმიტანილების არარსებობის მოტივით.

2009 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც იური ბუდანოვი სასჯელის მოხდისგან ვადაძე ადრე

გათავისუფლეს, მოკლული სამი ჩეჩნის ნათესავებმა სამართალდამცველ ორგანოებს მიმართეს და განაცხადეს, რომ მათ ტელევიზორში ნანახ იური ბუდანოვი სწორედ ის სამხედრო მოსამსახურე ამოიცნეს, რომელმაც ბლოკ-პოსტიდან მათი ნათესავები წაუარკვეველი მიმართულებით გაიყვანა. ვახა ტიტაევას, ვისიგა არსანუკაევას და ჰუსეინ დუდაევის ნათესავების განაცხადის საფუძველზე, ბუდანოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლებით აღიძრა.

არსებობს ვერსია, რომ ელზა კუნგაევას გატაცების მიზეზი, გოგონას მამაზე, ვისა კუნგაევზე შურისძიება იყო. საქმე ისაა, რომ როგორც ვისა კუნგაევი აცხადებს, სწორედ მან აღმოაჩინა სასაფლაოზე ბუდანოვის მიერ გატაცებული და მოკლული სამი ჩეჩნის ცხედარი და მომხდარის თაობაზე ადგილობრივ პროკურატურას სწორედ მან შეატყობინა. სწორედ ამ ამბის შემდეგ შეიჭრა კუნგაევის საცხოვრებელ სახლში პოლკოვნიკი იური ბუდანოვი და მისი უფროსი ქალიშვილი გაიტაცა. გატაცებული გოგონა პოლკოვნიკმა სამხედრო ნაწილში წაიყვანა და მისგან ჩეჩენი სნაიპერების თაობაზე ინფორმაცია მოითხოვა. დაკითხვის დროს პოლკოვნიკმა გოგონასასტიკად სცემა, ბოლოს კი გაგუდა. მოკლული ახალგაზრდას ცხედარი ბუდანოვმა სამხედრო ნაწილთან ახლოს ჩამარხა. ის

მკვლელობიდან მეორე დღესვე დააკავეს.

იური ბუდანოვის ინტერესების დამცველები თვლიან, რომ ბუდანოვის ვადაძე ადრე გათავისუფლებით განაწყენებული ჩეჩნეთის ხელისუფლება მის წინააღმდეგ ახალ ბრალდებებს მიზანმიმართულად აყალიბებს. ადვოკატების მტკიცებით, ამ ბრალდებებს არანაირი საფუძველი არ გააჩნია და ტყუილზეა აგებული.

"ამდენი წლის განმავლობაში რატომ არ კეთდებოდა განცხადებები ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სხვა დანაშაულების შესახებ?" - კითხულობს ადვოკატი ალექსეი დულომოვი. არადა, ბუდანოვის მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, თავის დროზე, კუნგაევის ინტერესების დამცველი სტანისლავ მარკელოვი ბევრს საუბრობდა. ადვოკატი ირწმუნებოდა, რომ ელზა კუნგაევას მკვლელობის გარდა, არსებობდა მასალები, ბუდანოვის მიერ ჩადენილი სხვა სასტიკი მკვლელობების შესახებ. "ეს მასალები არსებობს. უბრალოდ, არ არსებობს მათი გამოძიების ნება," - ამბობდა ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი, რომელიც იური ბუდანოვის გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში, მოსკოვის ცენტრში მოკვლეს. მკვლელობამდე ერთი საათით ადრე, სტანისლავ მარკელოვმა, რომელიც კუნგაევის გარდა, უამრავი დაზარალებული ჩეჩნის ინტერესებს იცავდა, სპეციალურად გამართულ პრეს-კონფერენციაზე სწორედ იური ბუდანოვის ვადაძე ადრე გათავისუფლება გააპროტესტა და და რუსული მართლმსაჯულება მკაცრად გააკრიტიკა. მან ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, რომლებსაც იური ბუდანოვის საქმესთან ჰქონდათ შეხება. გამოძიება სტანისლავ მარკელოვის მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ერთ-ერთი ვერსია სწორედ მოკლული ჩეჩენი გოგონას საქმეს უკავშირდება.

გავრცელებული ინფორმაციით, იური ბუდანოვს ამჟამად რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლები იცავენ. გათავისუფლების შემდეგ ის ხალხში გამოჩენას თავს არიდებს.

უზუზევრობა რუსეთში - პიკი ზერ კიდევ წინ არის

მარიკა იახვილი



მოსკოვთან სიახლოვე და მსხვილი მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოების დახურვა - ასეთია რუსეთის რეგიონებში უმუშევრობის ზრდის ძირითადი მიზეზები. თუმცა დასაქმების სულ უფრო მზარდი პრობლემის მიუხედავად, კრემლი მაინც კმაყოფილია - ქვეყანაში საპროტესტო აქტივობები არ შეინიშნება.

ვლადიმირის, ნიჟეგოროდის, სვერდლოვსკის, ტვერის და ჩელიაბინსკის ოლქებში ვითარება უკვე ძალიან მძიმეა. მონიტორინგმა, რომელიც ოლქებში 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 4 თებერვლამდე ჩატარდა, ნათელი გახადა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი რეკორდული სისწრაფით მატულობს. ყველზე პრობლემური კი ვოლოგდის, ტვერისა და ჩელიაბინსკის ოლქებია.

ამ სამ ოლქზე და იქ არსებული პრობლემების დარეგულირების გზებზე მთავრობის მალაჩინოსნები მუდმივად მსჯელობენ, თუმცა მზარდ უმუშევრობასთან ბრძოლა რთული აღმოჩნდა.

ვოლოგდის ოლქი კრიზისულ რეგიონთა სიაში იმ საწარმოების გამო მოხვდა, რომლებმაც ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს თანამშრომელთა შემცირება. სამსახურიდან ხალხის დათხოვნის შესახებ განცხადება ოლქში მდებარე ხუთსამა ორგანიზაციამ გააკეთა. თუმცა მასობრივ უმუშევრობაში მთავარი "დამნაშავე" მაინც ჩერეპოვეცის მეტალურგიული კომბინაია.

ვოლოგდის ადგილობრივ მთავრობაში ვარაუდობენ, რომ დასაქმების პრობლემა საშუალოდ 30 000 ადამიანს შეეხება. ამჟამად ოლქში 17 ათასი უმუშევარია. ოქტომბერში კი 7400 იყო. ოლქში სამსახურის გარეშე დარჩენილ ადამიანთა რაოდენობა ზაფხულის შემდეგ უკვე ორჯერ გაი-

ზარდა და ექსპერტები მომავალშიც ასეთივე ზრდას ელოდებიან.

ნიჟეგოროდის ოლქში შემცირებების მიხედვით საწარმო "გაზ"-ი ლიდერობს. თებერვლის დასაწყისისთვის ოლქში ოფიციალურად 19 300 უმუშევარი იყო დარეგისტრირებული, რაც გასული წლის ოქტომბრის მონაცემებს 7 ათასით აღემატება.

"გაზ"-იდან, ოფიციალური მონაცემებით, თებერვალში მომუშავეთა 3 პროცენტი, სულ 1200 ადამიანი გაათავისუფლეს, კიდევ ორ უფრო მცირე საწარმოში 180 და 800 თანამშრომელი შეამცირეს. თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია და, სავარაუდოდ, უმუშევრად დარჩენილთა რეალური რაოდენობა ბევრად მეტია.

ტვერის ოლქს პრობლემები დე-

დაქალაქთან სიახლოვის გამო შეექმნა. "ოლქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მოსკოვში იყო დასაქმებული და დედაქალაქში განხორციელებული მასობრივი შემცირებების გამო სახლში დაბრუნება მოუხდათ," - განმარტავს ტვერის გუბერნატორის წარმომადგენელი ანდრეი ივანოვი. მისი თქმით, ამჟამად ოფიციალურად დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა 8 968 ადამიანს შეადგენს. კრიზისამდე კი მათი რაოდენობა 4373 იყო. ვარაუდობენ, რომ ეს რიცხვი, საშუალოდ, 10 000-მდე გაიზრდება. თუმცა, დედაქალაქის გარდა, ტვერელების უმუშევრად დარჩენის მიზეზი ორ ადგილობრივ საწარმოში - ვაგონთმშენებელ და ელსაკავატორთა ქარხნებში მომხდარი შემცირებებია.

კიდევ ერთი პრობლემური ოლქი

ჩელიაბინსკია. იქ უმუშევართა რაოდენობა კრიზისის დაწყებისთანავე ორჯერ გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას ოლქის შრომისა და დასაქმების მთავრი სამმართველოს უფროსი ლეონიდ შუშარინი ავრცელებს. მისი თქმით, თუ 2008 წლის პირველი ოქტომბრისთვის დაუსაქმებელთა რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის 1.1 პროცენტს შეადგენდა ანუ 18 500 ადამიანს, ახლა მათი რიცხვი 2.1 პროცენტამდე გაიზარდა და 41 ათას ადამიანს შეადგენს. სულ ოლქში 1.7 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანი ცხოვრობს.

ეს მასობრივი შემცირებების მხოლოდ დასაწყისია, გამოთქვამს ვარაუდს შუშარინი. დღემდე ადამიანები საკუთარი ნებით ტოვებდნენ სამსახურს ანაზღაურების შემცირების გამო. უმუშევრობის პიკის დად-

გომას მარტი-აპრილისთვის უნდა ველოდოთ, მაშინ როდესაც თანამშრომელთა სამსახურიდან გაშვებას რეგიონის უმსხვილესი საწარმოებიც დაიწყებენ. ჩელიაბინსკის ოლქის მხოლოდ ორი უმსხვილესი საწარმოდან მარტისთვის, მინიმუმ, 900 ადამიანის გაათავისუფლებას უნდა ველოდოთ, - ვარაუდობს შუშარინი. ერთ-ერთი მათგანიდან პერსონალის ოპტიმიზაციის მიზეზით თებერვალში უკვე გაათავისუფლეს 173 ადამიანი. რეგიონის მთავრობა ვარაუდობს, რომ აპრილისთვის უმუშევართა რაოდენობა 53 ათას ადამიანს მიღწევს. ლეონიდ შუშარინის განცხადებით, იმისთვის, რომ კრიზისის გავლენა ოდნავ მაინც შეზღუდოს, რეგიონში უმუშევრობასთან ბრძოლაში დამატებით 600 მილიონი რუბლი დაიხარჯება.

სვერდლოვსკის ოლქში უმუშევრობის მიზეზიც მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიული საწარმოებია. რეგიონში არსებული 14 საწარმოდან 2009 წლის იანვარში 3 516 ადამიანი გაათავისუფლეს. ოლქში ოფიციალურად დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის თებერვლამდე 26 ათასიდან 51 ათასამდე გაიზარდა.

მიუხედავად დასაქმების ასეთი სერიოზული პრობლემებისა, პოლიტიკურად ვითარება სტაბილურია და საპროტესტო გამოსვლები აღარ ხდება. პოტენციურ ცხელ წერტილებში ანუ იქ, სადაც უმუშევრად დარჩენილ მოსახლეობაში შესაძლოა უმყოფილებამ იფეთქოს, ვითარების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საოლქო დეპუტატები ჩადიან.

რასაკვირველია, ოფიციალური მონაცემები რეალური ვითარებისგან მკვეთრად განსხვავდება და ახლა ექსპერტებს მხოლოდ ის აქვთ საკამათო, თუ რამდენზე გადაამრავლონ ოფიციალურ წყაროებში მითითებული ციფრები: სამზე თუ ათზე.

წარმატებული და წარუმატებული საკადრო ცვლილებები

ხათუნა ბაბიჯი

შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ახალი შეფი ჰყავს. ამ თანამდებობაზე მაიკლ ჰეიდენი ბარაკ ობამას მიერ წარდგენილმა, 70 წლის ლეონ ედუარდ პანეტამ შეცვალა. სენატმა საბოლოო გადაწყვეტილება დაზვერვის კომიტეტის მიერ პანეტას კანდიდატურის ორდღიანი განხილვისა და 6 თებერვალს მონოგნების შემდეგ დაამტკიცა. იტალიელი ემიგრანტების შთამომავალი, კალიფორნიის შტატის ქალაქ მონტერეის მკვიდრი ლეონ ედუარდ პანეტა გამოცდილი იურისტად და პოლიტიკოსად მიჩნევა.

1970-იანი წლების დასაწყისში იგი ადამიანის უფლებების ამერიკულ ბიუროში მოღვაწეობდა, სადაც განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრობლემებზე მუშაობდა, ხოლო 1977-93 წლებში წარმომადგენელთა პალატაში კალიფორნიის ერთ-ერთი ოლქის წარმომადგენელი იყო. შემდგომში ოთხი წლის განმავლობაში კი პანეტა ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო განყოფილებასა და თეთრი

სახლის თანამშრომლების აპარატს ხელმძღვანელობდა. უკანასკნელ ხანებში იგი კალიფორნიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. წინასწარჩვენო პერიოდში კი ბარაკ ობამას შტატის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა იყო.

წინასწარჩვენო შტატში აქტიურობის მიუხედავად, ცენტრალური დაზვერვის განყოფილების დირექტორის პოსტზე პანეტას წარდგენამ მაინც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სადაზვერვო გამოცდილების არქონის გამო. ბარაკ ობამა მიიჩნევს, რომ პანეტას მმართველობის დიდი გამოცდილება აქვს და შეძლებს კონგრესთან ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას.

პრეზიდენტის გარდა, როგორც აღმოჩნდა, პანეტას კანდიდატურას სხვა მომხრეებიც მრავლად ჰყავს. ანალიტიკოსების ვარაუდით, პოლიტიკური ნიშნით შერჩევამ, შესაძლოა ცენტრალური დაზვერვის განყოფილების იმიჯის გაუმჯობესების სასარგებლოდ იმუშაოს, რომელიც ბოლო პერიოდში გუანტანამოს ციხის ეპოპეის, კერძოდ, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების დაკითხვისას სასტიკი მეთოდების გამოყენების



ბარაკ ობამა საკადრო ცვლილებების შესახებ გადამწყვეტილებებს ღებულობს

გამო მკვეთრად შეილახა. სენატის მოსმენაზე ლეონ ედუარდ პანეტამ განაცხადა, რომ ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს პრიორიტეტულ ამოცანად ნომერ პირველ ტერორისტად ცნობილი ოსამა ბინ ლადენის დაკავება მიჩნია.

კიდევ ერთი საკადრო ცვლილება კი, რომელსაც ბარაკ ობამა მოუთ-

მენლად ელოდა, მარცხით დამთავრდა. "დემოკრატმა" პრეზიდენტმა ვაჭრობის მინისტრის პოსტზე "რესპუბლიკელი" სენატორი ჯად გრეგი წარადგინა, რომელმაც წინადადება იმ მოტივით უარყო, რომ პრინციპულად არ ეთანხმება პრეზიდენტის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ნაციონალური ეკონომიკის გადარჩენის გეგმას. ეს კიდევ ერთი მარცხი იყო

ამ კონკრეტული თანამდებობის შემთხვევაში. საქმე ის არის, რომ ინაუგურაციის შემდეგ ბარაკ ობამამ ამავე თანამდებობაზე თავისი თანამებრძოლი, ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორი ბილ რიჩარდსონი წარადგინა. თუმცა, რიჩარდსონს უარის თქმა მოუხდა ნიუ-მექსიკოს ხელისუფლებასთან საქმიან ურთიერთობებში მყოფი ერთ-ერთი კალიფორნიული კომპანიის გამო დაწყებული სასამართლო დავის მიზეზით. სენატორი გრეგი თანხმობის შემთხვევაში ობამას ადმინისტრაციაში რიგით მესამე მაღალჩინოსანი "რესპუბლიკელი" იქნებოდა თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსსა და ტრანსპორტის მინისტრ რამ ლაჰუდთან ერთად. ახლა კი შეერთებული შტატების პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მოუწევს ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურის შერჩევა.

ბარაკ ობამას საკადრო პოლიტიკა ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მინისტრის კანდიდატურის შერჩევის შემთხვევაშიც არაუფერტიანი გამოდგა. აღნიშნულ პოსტზე მან ტომ დეული წარადგინა, რომელმაც საგადასახადო პრობლემების გამო თანამდებობაზე უარი განაცხადა.

რევიუ



AFP / 2009

აზიის ყველაზე მასშტაბული საჰაერო შოუ წელს ინდოეთის ქალაქ ბანგალორის გარეუბანში გაიხსნა. აქ წარმოდგენილია აზიის თითქმის ყველა ქვეყნის ავიაციის მიღწევები: სამგზავრო, სამხედრო და ექსკლუზიური მოდელების თვითმფრინავები. ამ სანახაობას კი პარაშუტისტთა ოსტატობა ალამაზებს. შოუ ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. 16 თებერვალს კი საუკეთესო მოდელების გარდა ყველაზე სანახაობრივი წარმოდგენის ავტორ პარაშუტისტთა გუნდსაც დააჯილდოვებენ.

ბობ მარლის სახელი ყავის და ლუდის ბრენდი გახდება

მუსიკოს ბობ მარლის ოჯახმა გადაწყვიტა გასაყიდად მსოფლიოში ყველაზე ცნობილი რევის შემსრულებლის მარლის სახელობის საქონელი გასაყიდად გამოუშვას. საქონელს შორის, რომელიც გეგმის მიხედვით Bob marley-ს მარკით გამოვა - იქნება ყავა, ლუდი, ყურთსასმენები, სნოუბორდი, ჩანთები, ფეხსაცმელები, ვიდეოთამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ელექტრონიკა. რამოდენიმე ნივთს ბობ მარლის ცნობილი სიმღერების სახელწოდება ან მისი სიმღერიდან პოპულარული სტრიქონი დაერქმევა. იმისთვის, რომ თავისი გარდაცვლილი მამის სახელი ბრენდზე დააბრუნოს, მარლის ქალიშვილმა საინვესტიციო კომპანია Hilco-სთან კონტრაქტი გააფორმა.

"ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ლიცენზია (ბობ მარლის სახელის გამოყენებისთვის) პრაქტიკულად ყველაფერზე, რაზეც შესაძლებელია", - აღნიშნა მარლის უფროსმა ქალიშვილმა. მან უკვე გამოსცა საბავშვო ნიგნი, სახელწოდებით - "სამი პატარა ჩიტუნია", რომელიც ბობ მარლის სიმღერის სახელწოდების ანალოგია გახლავთ. სედელის თქმით, იგი უშვებს შესაძლებლობას, რომ საბავშვო ტანსაცმლის, სათამაშოებისა და ფეხსაცმელების სერია - "სამი პატარა ჩიტუნია" მარკით გამოუშვას. მარლის ქალიშვილის კიდევ ერთ იდეას - ლია კაფე, სახელწოდებით - One Love წარმოადგენს, სადაც სედელი მარლის თქმით, ხალხს საშუალება ექნება "მიირთვას გემრიელი საკვები იამაიკიდან, ისაუბრონ მუსიკაზე და მოისმინონ სიმღერები მუსიკოსების ცოცხალი შესრულებით". მარლის ოჯახი კაფეს გახსნას სხვადასხვა ადგილებში გეგმავს - ლონდონში, აზიასა და ამსტერდამში. მარლის ოჯახის ერთ-ერთი წევრის თქმით, ისინი არ აპირ



რენენ ცნობილი მუსიკოსი და მისი შემოქმედება ზედმეტად კომერციული გახადონ. გარდა ამისა, მათ სურთ, რომ მარლის სახელთან დაკავშირებულ იმ საქონელზე დააკმაყოფილონ მოთხოვნილებები, რომლებიც ამჟამად მუსიკოსის ოჯახის ნებართვის გარეშე გამოიცემა. ამ ბიზნესის მოცულობა წელიწადში დაახლოებით 600 მილიონ დოლარადაა შეფასებული. "მეკობრეებისთვის ეს დიდი ბიზნესია. ჩვენ გვინდა ბოლო მოვუღოთ ამას და ისე გავაყუთოთ, რომ მარლის სახელობის საქონელი მხოლოდ ჩვენი საქონლის სტანდარტების შესაბამისად გაიყიდოს", - განაცხადა მარლის ქალიშვილმა. ამჟამად ბაჰამის კუნძულებზე უკვე არსებობს კურორტი Bob Marley Resort&Spa, რომელიც შესაძლოა მალე სასტუმროთა ქსელი გახდეს.

შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 14 თებერვლიდან აცხადებს ტენდერს საკონტაქტო ქსელის დეტალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს საკონტაქტო ქსელის დეტალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 14 თებერვლიდან 2009 წლის 6 მარტის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტის №	საკონტაქტო ქსელის დეტალების დასახელება და მახასიათებლები	ერთეული	რაოდ
	კოლში ჩანგლისებრი საყურისათვის კს-006	ცალი	190
	კოლში ჩანგლისებრი საყურისათვის პესტიკით კს-007	ცალი	80
	უნაგირა ცალმაგი ყურიანი კს-008	ცალი	180
	უნაგირა ცალმაგი ყურიანი პესტიკით კს-009	ცალი	120
	უნაგირა ორმაგი ყურიანი კს-010	ცალი	100
	უნაგირა ორმაგი ყურიანი პესტიკით კს-011	ცალი	50
	მომჭერი ყურიანი ცალთათა კს-012	ცალი	90
	მომჭერი ყურიანი ორთათა კს-013	ცალი	40
	მომჭერი ყურიანი კს-034	ცალი	20
	მომჭერი სოლიანი კს-035	ცალი	260
	სოლი დიდი კს-035-1	ცალი	260
	საკიდი ყურიანი ორმაგი კს-036	ცალი	32
	მომჭერი გვარლის ერთმაგი კს-037	ცალი	32
	მომჭერი ცალუდიანი კს-039	ცალი	32
	მომჭერი ყურით კს-040	ცალი	52
	ბლოკი საკომპენსატორი კს-041	ცალი	95
	საყელური სოლისებური კს-044	ცალი	22
	მომჭერი სასიმე კს-046	ცალი	7900
	მომჭერი შემაერთებელი საკონტაქტო გამტარის კს-047	ცალი	214
	მომჭერი შუა დაანკერების გვარლისათვის კს-048	ცალი	374
	მომჭერი საფიქსატორო კს-049	ცალი	610
	მომჭერი შუა დაანკერების საკონტაქტო გამტარისათვის კს-051	ცალი	150
	მომჭერი მკვებავი საკონტაქტო გამტარის კს-053	ცალი	520
	მომჭერი შემაერთებელი კს-054	ცალი	420
	მომჭერი შემაერთებელი კს-055	ცალი	340
	მომჭერი შემახორცებელი კს-059	ცალი	320
	კავი სადენების კს-061	ცალი	662
	მომჭერი ალუმინის გამტარის მკვებავი კს-064	ცალი	66
	მომჭერი დამიწების სადენის კს-066	ცალი	472
	მომჭერი გარდამავალი (პამ) კს-069	ცალი	90
	საყურე პესტიკით კს-075	ცალი	140
	მომჭერი შემახორცებელი ფოლადის გვარლისათვის კს-079	ცალი	54
	თამასა შემაერთებელი კს-082	ცალი	54
	ლილვაკი კს-084 ზომით 16*65	ცალი	320
	ბუგელი 1 ტიპის კს-089-1	ცალი	30
	ბუგელი ფორფიტოვანი კს-093	ცალი	110
	შტანგა ორმაგი ტვირთებისათვის კს-106	ცალი	50
	ჭანჭიკი კავიანი კს-107 ზომით კვ-16/155	ცალი	65
	ფიქსატორი დამატებითი კს-109	ცალი	200
	ტრავერსი კონუსური საყრდენისათვის კს-112	ცალი	60
	მხრული სადენების დასაანკერებელი კს-113	ცალი	10
	დგარი შეუღლებული პირდაპირი ფიქსატორის კს-115	ცალი	55
	დგარი შეუღლებული უკუფიქსატორის კს-116	ცალი	70
	კლემა დამიწების კს-124	ცალი	80
	დეტალი ჯვრებზე გადაკვეთის კს-126	ცალი	20
	შემაერთებელი საფიქსატორო იზოლატორების კს-128	ცალი	60
	ცალული ზედა კს-129	ცალი	20
	ცალული ქვედა კს-130	ცალი	10
	უღელი კრონშტეინის სამაგრი კს-131	ცალი	22

ქსელის დეტალები	ცალული კს-132	ცალი	22
	ცალული გვარლის საანკერო კს-134	ცალი	30
	კვანძი სამაგრი კონსოლის ქუსლის კს-139	ცალი	20
	კვანძი სამაგრი კონსოლის წვეის კს-140	ცალი	20
	კვანძი სამაგრი კრონშტეინის კს-141	ცალი	94
	შტირი შ-22 დ-2 კს-148	ცალი	30
	შემზღუდავი ორმაგი საანკერო შტანგის კს-152	ცალი	5
	თამასა მარგულირებული კს-155	ცალი	140
	კვანძი სამაგრი საანკერო საჭიმარის კს-156	ცალი	5
	მხრული კომპენსირებული დაანკერების კს-158	ცალი	40
	კავი კს-161	ცალი	210
	შტანგა პესტიკი-კუთხვილი 1000 მმ კს-171	ცალი	48
	შტანგა პესტიკი-ყური 1000 მმ კს-172	ცალი	88
	შტანგა ორმხრივი ორმაგი ყურით 500 მმ კს-173	ცალი	60
	შტანგა პესტიკი-ორმაგი ყური 1000 მმ კს-175	ცალი	100
	შტანგა ნაჭედი ყური-კუთხვილი 600 მმ კს-176	ცალი	32
	შტანგა ნაჭედი ყური-კუთხვილი 2000 მმ კს-177	ცალი	22
	შტანგა ნაჭედი ყური-პესტიკი 1000 მმ კს-178	ცალი	48
	შტანგა პესტიკი-კუთხვილი შეუღლებული 750 მმ კს-179	ცალი	30
	კვანძი სამაგრი ფიქსატორის ლეზ-41	ცალი	40
	შუალედი სანაპერწკლო იპმ-62 მ	ცალი	30

- მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;
- მიწოდების ვადა: 2009 წლის II-III კვ.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 6 მარტის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირებისათვის:
 - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან;
 - ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;
 - სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
 - ფიზიკური პირებისათვის:
 - ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - ინდ/შეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
 - სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
- ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:
 - ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტები)
 - სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დღგ-ს გარეშე: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
 - გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლომჯანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

ნუბო

ავთანდილ გარასაშვილი

ამ ბოლო დროს ტელეფონით სულ ცუდ ამბებს ვეგებულობ. ორშაბათსაც გაისმა ტელეფონის ზარი. ჩემი მეგობრის ჯემალ კასრადის ნაღვლიანი ხმა იყო:

- ავთო, ბიჭო, ნუგზარ შატაიძის ამბავი გაიგე?

- რა ამბავი? - ელდნაცემმა ვიკითხე.

ალარ არის, დღეს გარდაიცვალაო...

ნუგზარ შატაიძის სიკვდილმა ყველას თავზარი დაგვცა: მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს...

ნუგზარ შატაიძის სიკვდილმა გული დასწყვიტა იმასაც, ვინც მას პირადად არც არასოდეს შეხვედრია, მაგრამ კარგად იცნობდა მის სითბოთი აღსავსე მოთხრობებს.

ნუგზარ შატაიძე, რომლის შემოქმედებაც მრავალი ლიტერატურული პრემიით აღინიშნა, სხვათათვის მხოლოდ ძალიან კარგი მწერალი გახლდათ, ჩვენთვის კი ნუგო, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო მეგობარი და კეთილშობილი პიროვნება იყო.

დღეს ნუგზარ შატაიძეს დიდუბის პანთეონის მიწას მიბარებენ. იქნება ბევრი ნაღველი და მერე სვედანარევი ღმილიანი მოგონება - ისეთივე, როგორც მისი საოცარი მოთხრობები იყო. დღეს იმ გათხრილ საფლავთან ბევრი ალბათ მდუმარედ გაიხსენებს ნუგზარ შატაიძის მოთხრობებს და მის სახესაც ფილმიდან "ხარება და გოგია", მე კი ახლა თვალწინ მიდგას ჩემი შვილიშვილის, ანანოს ცრემლებით სავსე თვალები და ხელიდან უგარდნილი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, ჯემალ კასრადისგან ტელეფონით მოტანილი თავზარდამცემ ამბავს რომ მოჰყვა.

სწორედ იმ დღეს ანანოს გაკვეთილად ჰქონდა "ბიძია-ბაბუა" - ნუგზარის იუმორით აღსავსე და იმავდროულად სვედანარევი ნარკვევი - "კაპიკი გაკაპიკებულა ანუ ევროპაში რა მიხდოდა" და ხალისიანად კითხულობდა, ერთ უმეტესს, რომ იმ ნარკვევის ერთ-ერთი გმირი, მეორე "ბიძია-ბაბუა" გუჯა იყო - ელგუჯა ბერძენი.


"სიცხეს ვერ ვიტან. ზოგს სიცივეს სიცხე ურჩევნია, მაგრამ მე ოცდაათ გრადუსზეც კი გული მიწუხდება, არადა, მაინცდამაინც მარშან, იმ პაპანაქებმა ავგისტროს ნავსაგჭირად ევროპაში, სადაც ისეთი სიცხე დამხვდა, რომ ხალხი სულ პანტაპუნტით იხოცებოდა.

ვიცი, მკითხველს გაეცინება, მერე და, მე მამაცხოვრებულო, რა ძალია გადგა, რა გინდოდა, შინ რატომ არ დაეტოვე, მაგრამ იმან რა იცის გუჯას ამბავი, რა იცის, რომ ის თუ ჩავაცვივდა, გათავებულა შენი საქემ!

შემოგვიჩნდა მე და კოტე ჯანდიერს - პარიზში მივდივარ მივლინებით, იქიდან გერმანიაში უნდა გამოვიარო და მანქანა ვიყიდო, ჩამოდით, დიუსელდორფის აეროპორტში იმ მანქანით დაგხვდებით და ნახევარ ევროპას მოგატარებთ..."

ჰოდა, კი ამბობს, ევროპაში ნავსაგჭირდო, მაგრამ ის მოგზაურობა ნუგოს ერთ-ერთი ტკბილმოსაგონარი იყო.

ანანომ და მისმა კლასელებმა ნუგზარ შატაიძე პირველად ამ ნარკვევით კი არა, სულ სხვა თხზულებით გაიცნეს, როცა მეორე კლასის სახელმძღვანელოში ერთი პატარა მოთხრობა წაიკითხეს. ანანო ძალზე ამაყობდა, რომ ნუგზარ შატაიძეს პირადად იცნობდა. ამ შემთხვევაზე, ანანოს ლიტერატურის მასწავლებელს ეს რომ გაუგია, უთხოვია, იქნებ ბატონი ნუგზარ შატაიძე ჩვენს სკოლაში მოიყვანო, მოვიდეს, გვეჩვენოს, დიდ შეხვედრას მოვეწყობოთ და ანანოც თავის "ბიძია-ბაბუას" ეაჯა, იმან კი, თავზე ხელი გადაუსვა და დაამშვიდა, მოვალე, შვილო, მოვალე. ოღონდ ეს ტიპალი გული ცოტა დამიწყნარდეს, ცოტა მომეჯობოდ და აუცილებლად მოვალე. ამას რომ ეუბნებოდა, ნუგზარ შატაიძეს ალბათ გაახსენდა თავისი ბავშვობა, სკოლის პერიოდი



და იქ იოსებ გრიშაშვილის სტუმრობა, რაც აღწერა კიდევ თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში "ტრამვაი №7". ნუგოს ალბათ გაახსენდა ის ამბავი და იქნებ თავი იოსებ გრიშაშვილის ადგილზეც წარმოიდგინა, მაგრამ, უმჯობესია, ციტატა მოვიშველიო:

"...ყველანი თვალებგაფართოებული ვიყავით, რადგან ცოცხალ პოეტს პირველად ვხვდებოდით..."

"ჯერ დირექტორმა ილაპარაკა, მერე თვითონ გრიშაშვილმა მოგემართა, სულ გვრიტები და ცუგრუმელები გვეძახა და ბოლოს, რამდენიმე ლექსიც წავკითხა..."

მერე ნუგოს ჯერაც დამდგარა. ასულა სცენაზე და თავისი პირველი, "ძალიან გრძელი ლექსი" კითხვა დაუწყია, როცა დაამთავრა და შევბოვნი ამოისუნთქა:

"დარბაზმა ტაში კანტიკუნტად დაუკრა, აქა-იქ დაუსტვინეს კიდევ. მივხვდი, რომ ჩემი კლასელები უსტვენდნენ. სამაგიეროდ, გრიშაშვილის მოეწონა - ადგა, მოვიდა, ხელები მომხვია და რატომღაც აყვანა მომინდომა..."

"ბოლოს, რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერ ამიყვანდა, რჩეული გამომართვა, შუაზე გაეცემა და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო, რითაც საერთო აღტაცება და მქუხარე ტაში დაიმსახურა.

სცენა სიმწრის ოფლში გახვითქულმა დავტოვე, საკუთარი ადგილი მოვძებნე და დავჯექი. ვილაკებში ზურგზე ხელებს მითათუნებდნენ, ერთმა უფროსკლასელმა ბიჭმა ხუმრობით ცხვირიც კი დამიჭირა.

სცენიდან გრიშაშვილი ლაპარაკობდა და მე მხოლოდ მის ბოლო სიტყვებს მოგვარი ყური, ეს ყმანვილი ნამდვილი პოეტი გამოვიდა..."

პოეტობისა რა მოგახსენობთ, მწერალი კი უბადლო გამოვიდა, მაგრამ სცენაზე ასული ანანოსა და მისი სკოლელების ნაკითხული თხზულებების მოსმენას ველარ მოეცნო. დალილმა, ოთხჯერ ნაინფარქტალმა გულმა სული ვერა და ველარ მოითქვა, ველარც ხელოვნურმა სტიმულატორმა უშველა და ნავიდა კაცო.

თითქოს ამას ვგრძნობდით და ამ რამდენიმე კვირის წინ გუჯამ ყველანი ოჯახებით შინ შევკრიბა, ნუგოც თავადვე მოიყვანა და გამოლილ სუფრასთან სათამადო ადგილებზე, ტრადიციისამებრ დაბარძანა. ოღონდ თამადობა ჯემალს მივანდეთ, ნუგომ კი მხოლოდ ერთი-ორი ჭიქა შესვა, აბა, ისე როგორ უნდა მოეკვდე, ავთოს დაყენებულის წლებიდან ვიზნო რომ არ დაეაჭაშნიკო. ეტყობა, ჯემალსაც გული ცუდს უგრძნობდა და თამადობისას ცალ ხელში რომ ჭიქა ეჭირა, მეორეთი ფოტოაპარატმომარჯვებული უღებდა და უღებდა ნუგზარს სურათებს - ხან ცალკე, ხან ყველას ერთად. ჯემალმა და ნუგომ ერთი-ორჯერ ძველებურად ნაულიდინეს კიდევ. იმათ მოსმენას არაფერი ჯობდა. ბავშვობაში სამუსიკო სკოლაში რომ დადიოდა, ნუგოს ამ საქმეშიც დიდ მომავალს უნდასწარმეტყველებდნენ.

საოცრად ნიჭიერი იყო და მრავალმხრივ ტალანტს ავლენდა, ერთხელ, შინ რომ ვეწვიე, ვხედავ კედელზე ერთი ვეება, ფერწერული ტილო დაუკიდია. დეზებიანი, ჭრილობებიანი, ულამაზესი მალი იო.

ვისია-მეთქი, - შევიცხადე. როგორ ფიქრობ, ვისიაო, - კითხვებზე კითხვითვე მომიგო. რა ვიცი, ფიროსმანი არ არის, მაგრამ ძალიან კი გავს-მეთქი. შევატყე, ძალიან ესიამოვნა. თურმე თავისთვის ჩუმ-ჩუმად ხატავდა და ის მამალიც მისი დახატული ყოფილა. იმ ნახატს ბევრი თხოვდა, მაგრამ არაფრით ეთმობოდა და ვერ ელოდა. მეც თვალი დავადგი, მაგრამ ვერ შევებე, სამაგიეროდ, ერთ მშვენიერ, განსაკუთრებულ დღეს შინ რომ შეწვია, ჩემს ცოლთან სხვა, მომცრო ნახატით ხელდამშვენებული მოვიდა. იმ ნახატს მეორე მხარეს ამშვენებდა წარწერა: "ქ-ნ ნათელას - თენგიზ მირზაშვილის ("ჩუბჩიკას") ნახატი - დაბადების დღის აღსანიშნავად! ნუგზარ შატაიძე. 23/VI-2000".

უკ, ნუგოს მაშინაც ნატანჯი და ნაოპერაციები გული ჰქონდა, მაგრამ მაინც ვაწუხე იყო, დღეს კი დიდუბის პანთეონში თავის მეგობარ ჩუბჩიკას გვერდით აბარებენ მიწას. ჩვენი მეგობრობა კი 1977 წელს დაიწყო, როცა ირაკლი ბერიანელი-მა "ლელის" რედაქციაში სამუშაოდ მოიყვანა, მაგარი ვინეა, ძალიან კარგად წერს. იმ დღესვე გამოვიცხადე, ხედავ გურჯაანის რაიონში მევენახეებს ვეტერან სპორტსმენებთან ერთად რთვებში უნდა დაევენებოდნენ. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩემთვის და დათო ჭელიძისთვის შეუბიათ ეფენი, ყველამ თავი დაიძვინა, მათ შორის ირაკლიმაც, გუმბინდელი მოსული ნუგზარ შატაიძე კი თავად აკვადევინა. რა ვიცოდით მაშინ, რომ არანაირ სამუშაოს თავს არ არიდებდა. თურმე ყარაულადაც უშუშავია, რედაქციაში მოსულამდე კი მშენებლობაზე მტვერსა და ცემენტში იყო ამოგანჯული. მერე, ქვეყანა რომ აირია, ვალუტის გადამცვლელ ჯი-ნუგოც ჩაადგა, აბა, რა ვქნა, ცოლ-შვილს მშობრს ხომ არ დავარჩენო.

ვისაც ეს ყველაფერი ეთაკილებოდა, იმას კი ოჯახი მართლაც ღამის ულუკამაპურად დარჩა.

ასე იყო თუ ისე, მაშინ ავტობუსით გურჯაანისკენ წავსახსენ. ვენახში ყველანი რომ ვცოდელობდით, ნუგზარი იქაურ ვალებებს ტოლს არ უღებდა და ვაზის რიგებში კომპანიით მიერეკებოდა. ის იყო მოსალამოვდა და შინ უნდა წამოვესულიყავით, რომ დათო ატყვდა, ნავიდეთ თელავში ბიძაჩემთან, აქედან თბილისში უპურმარლოდ ხომ არ უნდა დავბრუნდეთო, თან პირს აწკლაპუნებდა და თავის პატარა ღიპს ხელებს თათუნით ეფერებოდა, მაგრამ იმისი მუცელს გადაყოლებს ამბავი რომ ვიცოდი, მეორე-ორჯერ ძველებურად ველარ გამოვიცხადებოდით და მიგვარძანებდნენ კიდევ იქიდან. დათომ კი არა და არ მოისვენა, ატყვდა დასაკლავი გოჭვივით და თავისი გაიტანა.

მეორე დღეს რედაქციაში მაშინდა შევიძურნეთ, როცა მუშაობა

დამთავრებული იყო. ჰოდა, სამივენი რიგრიგობით მიგვაყენეს კედელთან და კაი ლაზათიანად გაგვეჯორეს, სამუშაოდან გამოსაყრელად კი მაინც ვერ გაგვიმეტეს, თუმცა შატაიძე მიზანში აიყვანეს, გუმბინდელი მოსული ასე რომ მოიტყა, ხვალ რაღას იზამსო.

აი, ასე დაიწყო ნუგოსთან ჩვენი მეგობრობა, თავისი კაი კაცობითა და ქართული სიღინჯით კი სხვა თანამშრომლებსაც რამდენიმე დღეში შეაყვარა თავი, წერაზე ხომ წულარ იკითხავთ. განსაკუთრებით ქართულ ჭიდაობაზე უყვარდა წერა. ისე წერდა, ტანში ჟრუანტილი გვივლიდა. ან შატაიძის ბუნების სურათების ერთი-ორი მსუყე შტრიხით აღწერა რად ღირდა, ან სოფლის ბირჟაზე ჩამომსხდართა დიალოგები, იქაური დედაკაცების ქოთქოთი თუ ცოლ-ქმრის ჯავჯლანი...

ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში ამ ყოველივეს კითხვისას კაცი თითქოს უშუალოდ ხდებოდა იმ დიალოგების მსმენელი თუ ათასი ამბის მისმენელი. სუფრული სურათების აღწერაშიც ნამდვილი ჩემპიონი იყო. მადისადმეგრული იყო ახლად ამოყრილი, ოსმისგანარდნილი და მოთიმითმე ხაშლამის აღწერა, ნალამზე შემწვარი მწვადის სურნელი... ეს საქმე აღწერაზე არანაკლებად თავდაცვ ეხერხებოდა. მომადებებოდა შინ სამწვადით, გულის ყველით, სხვა რამე-რუმეებით ხელდამშვენიებული, ან სხვასთან წავიდიდა ასე, ჩვენს ცოლებს აქეთ-იქით მის-მის-მისწევდა, ჩადგებოდა სამზარეულოში და ხელედაკაპინებული დატრიალებდა, მერე კი სუფრასაც თავადვე უძღვებოდა და ამ საქმეში უბადლო იყო.

ერთხელაც მესტიიდან ახლად ჩამოსულს სვანურქუდიანი ნუგო ჯემალთან და ელგუჯასთან ერთად ასე ხელდამშვენიებული შინ თავზე რომ დამადგა, მეუბნება, აბა, ძმაო, ჩვენი ბურ-მარლი და შენი დაყენებული ღვინო. დავჯდეთ ახლა და გვიამბე, სად იყავი, ვინ ნახე, იმ თებში ბლტალით კიდევ სადმე რამე ფათერაკს ხომ არ გადაყვარეო. მერე, რაკი სუფრასაც იმ თავისი სვანური ქუდი მიუჯდა, მე ჩემს ახალთახალს დავავლე ხელი, ჩამოვიფხაბე თავზე და ვეუბნები, რა იყო, მაგაზე უკეთესი ნახე, რა მარქქს, თანაც ლეგენდარული მთამშველელის ჭიჭიკო ჩართოლანის ოჯახში-მეთქი.

აბა, ერთი მოიხადე, მოიტა, მარვენეო. მოვიხადე და თავმოწონედ მივანოდე. იმან გახედა, გამოხედა და შეათვალეირა; მერე თავისი მოიხადე, მუხლზე დაიდო, ჩემი კი თავზე მოივლო, უკ, რა კარგად მაქვს, ამას ვეღარ დავიბრუნებ, შენ კი ეს დაიხურეო და თავისი ქუდი იქვე ტახტზე მოისროლა. მოისროლა და უმალ ჭიქას ნამთავლო ხელი, აბა, ახლა ჭიჭიკო ჩართოლანის ოჯახს გაუმარჯოსო. მე შეცბუნებული ვუყურებდი თამადას, ჯემალი კი იკრთებოდა და ფრუტუნებდა, ავთო, ბიჭო, ყურნალოსტს რად გინდა სვანური ქუდი, არც სვანი ხარ, არც პროფესორი და არც მწერალი. აიღე ეგ ნუგოს ქუდი, ახე, მერე მაგას რა ფასი დაეღებო. ექმ...

და ისევ "ტრამვაი №7" მახსენდება.

"გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმა და მას ცოტა ხანში, დედაც მიჰყვა, მაგრამ მათზე ადრე მოკვდა მამა, რომელმაც სიკვდილის წინ მითხრა: რას იზამ, ზოგი სულაც არ დაბადებულა და მე სამოცდაოთხეულე მანინც ვიცოცხლეო.

კალინინზე აღარც შვიდი ნომერი ტრამვაი დადის, იქ ლიანდაგი აყარეს და ქუჩასაც სახელი შეუცვალეს".

ნუგზარ შატაიძეც, მამასავით სამოცდაოთხისა გარდაიცვალა. სამოცდაოთხეულე წამდე ზუსტად ერთი თვე დააკლდა - ეს საიუბილეო თარიღი 9 მარტს უნდა ეზეიმა, 9 თებერვალს კი გარდაიცვალა.

...კალინინისა არ იყოს, დღეს კიდევ ბევრ ქუჩას აქვს სახელი შესაცვლელი, ერთ-ერთ მათგანს კი ნუგზარ შატაიძის სახელი ძალზე მოუხდებაო.

მოუხდებოდა და ალალიც იქნებოდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შოთა მესხიას პირადი არქივი გადაეცა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მარინე მესხიამ და მანანა მესხიამ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ შოთა მესხიას (1916-1972 წწ) პირადი არქივი. კერძოდ, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ფოტოები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული მასალა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს, როგორც პროფესორ შოთა მესხიას ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული საისტორიო მეცნიერების ისტორიის შესასწავლად.

ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით არქივ შესასწავლად გადაეცა მეცნიერებს, სათანადო დამუშავების შემდეგ კი შედგება აღწერილობა და მასალა ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი გახდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

შარლ აზნავური შვეიცარიაში სომხეთის ელჩი გახდება

ფრანგი შანსონიე, ეროვნებით სომეხი შარლ აზნავური, შვეიცარიაში სომხეთის ელჩი გახდება. ამის შესახებ სომხეთის ეროვნული ტელევიზიის პირდაპირი ეთერით თავად მომღერალმა განაცხადა, რომელიც ადრე უარყოფდა ასეთ შესაძლებლობას. "თავიდან ცოტა მეექვსეობდა, რადგან, ეს საკმაოდ მძიმე შრომაა, მაგრამ, მერე ვიფიქრე, რომ რაც სომხეთისთვის მნიშვნელოვანია, ის ყველა ჩვენგანისთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი", - დასძენს სომეხი მომღერალი.

შეგახსენებთ, რამდენიმე ხნით ადრე ესპანური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აზნავურმა განაცხადა, რომ სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მას დიპლომატობა შესთავაზა, რაზეც მან იმხანად უარი თქვა. **მედიანიუსი**

ლადო მესხიშვილის დაბადების დღე აღინიშნება

16 თებერვალს 16 საათზე დიდუბის პანთეონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი (გამგეობის თავმჯდომარე - პროფ. გოგი დოლოძე) ტრადიციულად, აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის (1857-1920) დაბადების 152 წლისთავს და მის სულის მოსახსენიებლად სამოქალაქო პანაშვიდს გადაიხდის.

ლონისძიებამი მონაწილეობას მიიღებენ თანამედროვე ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ასევე საგანგებოდ ამ დღისათვის მოწვეული პედაგოგები და მოსწავლეები სოფელ პატარა ქანდას საბაზო სკოლიდან. **მედიანიუსი**

"კლუბი 24" ზადრი გოგუაძის ქანდაკებების გამოფენას მასპინძლობს

ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ზადრი გოგუაძის ქანდაკებების გამოფენას "კლუბი 24" მასპინძლობს. გამოფენას, რომელსაც საქართველოს ბანკის დაგროვებული ქონების მართვის სამსახური სპონსორობს, 20 მარტამდე გასტანს.

ზადრი გოგუაძე ქანდაკების ოსტატია. თავისი კარიერა მან 1981 წელს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ დაიწყო. მისი ნამუშევრები როგორც აბსტრაქციის, ასევე კლასიკური, რომანტიზმისა და ექსპრესიონიზმის სკოლის ნაზავს წარმოადგენს.

ზადრი გოგუაძის ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყანაში - ჰოლანდიაში, გერმანიაში, რუსეთში გამოიფინა. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების შექმნის მსურველებს შეუძლიათ, "კლუბ 24"-ის ადმინისტრაციას დაუკავშირდნენ. **პირველი**

საკულტო ფრანგულ ყურნალს კინოს შესახებ ინგლისელები გამოუშვებენ

ლონდონში არსებულმა საგამომცემლო კონცერნმა Phaidon Press-მა, ფრანგულ გაზეთ Le Monde-სგან შეისყიდა უფლება გამოუშვას ცნობილი ფრანკო-კინემატოგრაფიის შესახებ - Cahiers du Cinema ("კაიე დიუ სინემა", "კინემატოგრაფიული რეველი"). გარდა ამისა, გამომცემლობა Phaidon Press-მა Cahiers du Cinema-ს ინგნების განყოფილებაზეც მოიპოვა უფლება.

ფრანკო-კინემატოგრაფიის Cahiers du Cinema 1951 წელს კრიტიკოსებმა ანდრე ბაზენომ, ჟაკ დონოილ-ვალკროზმა და ჟოზეფ-მარი ლო დუეკმა დააარსეს. 1958-1963 წლებში ფურნალს "ახალი ტალისი" ყველაზე წარმატებული რეჟისორი - ერიკ რომერი ხელმძღვანელობდა. ფურნალთან თანამშრომლობდნენ ფრანსუა ტრიუფო, ჟან-ლუკ გოდარი, კლოდ შაბროლი და ჟაკ პიეტი. 1988 წელს კომპანია, რომელიც Cahiers du Cinema-ს კუთვნილებამი იმყოფებოდა, Le Monde-ს მფლობელებმა შეისყიდეს. 1999 წელს ფურნალის დეზანი რადიკალურად შეიცვალა, სადაც უამრავ მკითხველს აკრიტიკებდნენ. 2008 წლის აპრილში Le Monde-ს გამომცემლებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ Cahiers du Cinema-ს გაყიდვა სურდათ.

სპორტი

პორტუგალიას ეროვნულზე დავხვდებით

გუშინდელი დღე გადატვირთული იყო სარაგბო მოვლენებით. ჯერ ეროვნულ სტადიონზე "ბორჯღალოსნებმა" ივარჯიშეს, შემდეგ კი პრესკონფერენციის წინ ხელი მოეწერა სასპონსორო ხელშეკრულებას საქართველოს რაგბის კავშირსა და ლუდსაბარშ "ნატახტარს" შორის. შეთანხმების მიხედვით, "ნატახტარი" 270 000 დოლარს გამოყოფს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების საჭიროებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ "ბორჯღალოსნები" მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებენ, მათ დამატებით 50 000 დოლარი გადაეცემათ.

"ნატახტარი" ქართული ფეხბურთის ქომაგია და ამერიიდან სიამოვნებით დაუდგება გვერდით საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ გუნდსაც. დარწმუნებული ვარ, ქართველი მორაგბეები კვლავაც გაახარებენ თავის გულშემატკივარს და მათი წარმატებით ვიამყებო", - განაცხადა "ნატახტარის" გენერალურმა დირექტორმა მეჰმედ კოჩაკმა.

"დიდ მადლობას მოვასხენებ ფირმა "ნატახტარის" ხელმძღვანელობას, რომელიც ფინანსური კრიზისის ურთულეს პერიოდში, ჩვენთვის გასაოცრად, მხარში ამოგვიდგა. ასეთ პირობებში არც ველოდით და ვერც წარმოვიდგენდით მსგავს მხარდაჭერას "ნატახტარის" მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სპონსორები "ლიზო" და "კვარციტი" მოავგრძელებენ კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს და ჩვენი თანამშრომლობაც მალე აღდგება", - განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ.

ეროვნული სტადიონი კი ევროპის ერთა თასის მატჩს რაგბიში დღეს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები პორტუგალიას შეხვდება. ამ მატჩისთვის "ბორჯღალოსნები" თბილისში ემზადდებიან. გუშინ ტიმ ლეინის გუნდმა მატჩის წინ ბოლო ვარჯიში ჩაატარა. გუნდი თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით არის წარმოდგენილი. მხოლოდ დავით ზირაქაშვილი და მალხაზ ურჯულაშვილი აკლია.

ზირაქაშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო გერმანიასთან შეხვედრაში და ამის გამო ნლევიანდელ ერთა თასზე გუნდს ვეღარ დაეხმარება, მალხაზ ურჯულაშვილი კი პირადი თხოვნის საფუძველზე დარჩა კლუბში. "მალხაზმა თავისი გუნ-



დის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და სურს მისი შენარჩუნება, ამიტომ გვთხოვა საფრანგეთში დარჩენა, - განმარტა გია ნიჟარაძემ, - რაც შეეხება ზირაქაშვილს, ლმერთმა ქნას, იმაზე უკეთესი დიაგნოზი აღმოჩნდება, ვიდრე გვგონია. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ის ერთა თასზე წელს ვეღარ დაგვეხმარება. შესაძლოა "ჩერჩილის თასის" ტურნირში გამოჩნდეს გუნდის შემადგენლობაში".

ვარჯიში ძირითადად მოთელვითი ხასიათის იყო. მორაგბეებმა კიდევ ერთხელ დაამუშავეს ის კომბინაციები, რომელიც მათ ტიმ ლეინმა ასწავლა. "მწვრთნელი ძალიან აზრიან ვარჯიშებს გვიტარებს. მე მომწონს მასთან მუშაობა. კარგია, რომ ნდობა დავიმსახურე და ორი წლის შესვენების შემდეგ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ, - ამბობს თედო ზიზიბაძე, - "პერიოდში" უკვე სამი წელია ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვითამაშობ. რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს, ვიცი, რომ ხისტი თამაშით გამოირჩევა და ბოლომდე იბრძვის, თუმცა ჩვენ მზად ვართ დასახვედრად".

ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ ქართველმა მორაგბეებმა გა-

სახდელს მიაშურეს. "ჩვენ ვნახეთ პორტუგალია-რუსეთის მატჩის ვიდეორეგისტრაცია. პორტუგალია დაახლოებით ისეთივე გუნდია, როგორც გვახსოვს - ძირითადად ხისტი ბრძოლაზე აგებული. ბოლომდე იბრძვიან და ცდილობენ ყველა შანსი გამოიყენონ. რუსეთთან შეხვედრაში პირველი ტაიმი 0:15 ნააგვს, მაგრამ მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოასწორეს და 15:14 გახდა. გამარჯვებაც შეეძლოთ, თუმცა შანსი ვერ გამოიყენეს და საბოლოოდ დამარცხდნენ. რუსები კი გადატვირთული ჩანდნენ და მეორე ტაიმი ჩაადგეს. ვეცდებით, ჩვენი შანსი ბოლომდე გამოვიყენოთ", - განაცხადა ილია ზედგინიძემ. მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა.

ტიმ ლეინი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი): "ის 24 მორაგბე, რომელიც ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია, საუკეთესოა საქართველოში. შევეცდებით ყველა მათგანის შესაძლებლობებს დავაკვირდეთ და ამიტომ ცვლილებები გერმანიის მატჩთან შედარებით. ბევრ მათგანს გერმანიამდე არ ვიცნობდი. მაგალითად, თედო ზიზიბაძე და აქესენტი გიორგაძე გერმანიელებთან მატჩში შეცვლაზე რომ შევიყვანე,

შესანიშნავად ითამაშეს. ამიტომ მათ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ. შეკრება ძალიან კარგად და ხალისიანად მიმდინარეობს. მოგვენატრა ერთმანეთი და ვარჯიშებზეც ხალისიანად გავდივართ. ამის შედეგს პორტუგალიასთან მატჩში დავანახებთ. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, ის ძალიან კარგი გუნდია. კარგად ურთიერთობენ ბურთთან. რაქში და დერეფანში ზუსტად მოქმედებენ და, რაც მთავარია, ბოლო წუთამდე იბრძვიან. ამიტომ მათთან შეხვედრაში მოდუნების უფლება არ გვაქვს. რუსეთთან მატჩში პირველ ტაიმს 0:15 აგებდნენ და მეორე ნახევარში 14:15 გახდა. ეს უნდა გავითვალისწინოთ".

ფრენსის კუმერტიში (პორტუგალიის ნაკრების მენეჯერი): "რუსეთთან თამაში ჩვენთვის სეზონის ცუდი დასაწყისი იყო. მორაგბეები ნერვიულობდნენ და შეცდომებს უშვებდნენ. პირველი ტაიმი ჩვენთვის ნამდვილი კატასტროფა იყო, თუმცა მეორე ნახევარში ბიჭებმა ისე ითამაშეს, როგორც პორტუგალიას ეკადრება. შევეცდებით, თქვენს წინააღმდეგ განსხვავებული თამაში ვაჩვენოთ. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, მის თამაშში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა. გუნდმა მწვრთნელი შეიცვალა და ცდილობს თამაშის სტილი შეცვალოს, მაგრამ ეს ამკარად არ გამოხდის".

ევროპის ერთა თასი საქართველო - პორტუგალია საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

1. დავით ხინჩაგაშვილი, 2. აქსენტი გიორგაძე, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. კახა უჩაგა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე, 9. ირაკლი აბუსერდიძე, 10. ლაშა მალალურაძე, 11. გიორგი შკინიხი, 12. თედო ზიზიბაძე, 13. დავით კაჭარავა, 14. ირაკლი მაჩხაჩიანი, 15. მერაბ კვიციანიძე. **მარჯაუა:** 16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრაიშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. რატი ურუშაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი გიორგაძე, 22. ოთარ ბარკალია.

მთავარი მწვრთნელი: ტიმ ლეინი

მსაჯი: სედრიკ ბერდო (საფრანგეთი)

თარიღები შეიცვალა

მე-20 ტურის 22 თებერვლის კალენდარული თამაში "ვიტ-ჯორჯიასა" და "დინამოს" შორის 22 თებერვლის ნაცვლად ჩატარდება 21 თებერვალს, ხოლო მე-16 ტურის გამოტოვებული შეხვედრა "დინამოსა" და "ზესტაფონს" შორის დანიშნულია 25 თებერვალს. 21-ე ტურის 28 თებერვლის კალენდარული "ზესტაფონისა" და "სპარტაკის" მატჩი გადატანილია 1 მარტისთვის. ასევე 22 თებერვლის ნაცვლად 21 თებერვალს გაიმართება "სპარტაკისა" და "ოლიმპის" თამაში. მე-16 ტურის გამოტოვებული მატჩი "ბორჯოსა" და "სპარტაკს" შორის 25 თებერვალს ჩატარდება.

დისკვალიფიცირებულთა ვინაობა ცნობილია

14-15 თებერვალს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩები გაიმართება. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომლებიც მომავალ ტურს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პირდაპირ ეთერში "ლოკომოტივი"-სპარტაკისა" და "დინამო"-სიონის" მატჩები გადაიცემა.

14 თებერვალი
"ოლიმპი" - "გაგრა"
"ლოკომოტივი" - "სპარტაკი"

15 თებერვალი
"მესხეთი" - "მგლები"
"დინამო" - "სიონი"
"ზესტაფონი" - "ბორჯომი"

დისკვალიფიცირებულები
"ბორჯომი" - ილია ლომიძე
"ზესტაფონი" - მურთაზ დაუშვილი
"სპარტაკი" - გიგა იაშვილი
"სიონი" - გივი დიდავა
"გაგრა" - დავით გიგაური
"მგლები" - მწვრთნელი ლიბარტია სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდება

გულშემატკივარი "ბორჯღალოსნებს" მარიუპოლშიც გაამხნევენ

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თვეზე მეტია დარჩენილი რუსეთ-საქართველოს მატჩამდე, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე - უკრაინის პატარა ქალაქ მარიუპოლში გაიმართება, ქართული რაგბის ქმედობრივი გულშემატკივარი აქედანვე იჭერს თადარიგს. საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით, თბილისი-მარიუპოლის მიმართულ რუსეთის იქნება ჩარტრული რეისი, რომელიც ჩვენი გულშემატკივარს საკუთარ კერპებთან ერთად შეეძლება უკრაინაში წასვლა და ტრიბუნებიდან მათი გამხნეება. ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. ამ სიკეთით 110 გულშემატკივარი ისარგებლებს. წინასწარი ინფორმაციით, ხელმისაწვდომ ფასად გაიყიდება პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს გულშემატკივრის ფრენას ორივე მიმართულ რუსეთის იქნება ჩარტრული რეისი და მატჩზე დასწრებას. ჩარტრის დეტალები ორიოდ დღეში დაზუსტდება, რომლის შესახებ დამატებით გაცნობილია.

გურულმა და გიგიაძემ თავი გამოიჩინეს

ქართველმა ფეხბურთელებმა სანდრო გურულმა და ვასილ გიგიაძემ საკონტროლო მატჩებში მორიგი გოლები გაიტანეს. გურულმა "კარპატმა" გროზნოს "ტერეკთან" მატჩში 2:0 გაიმარჯვა. სანდრომ პირველ ტაიმში ითამაშა და 29-ე წუთზე გამოიჩინა თავი. მაკედონიურ "მეტალურგთან" მატჩი 2:3 დათმო გიგიაძის "ტავრიამ". ვასომ შეუცვლელად იასპარეზა და 57-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან ანგარიში 1:3 გახადა, თუმცა, გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. სიმფეროპოლელთა შემადგენლობაში ლადო ბურდულმა 90 წუთს ითამაშა.

"ასკამ" "დინამოში" პირველი მატჩი გამართა

ესპანურ მარბელიაში შეკრებაზე მყოფმა კიევის "დინამომ" დანიურ "ესბიერგთან" საკონტროლო მატჩი გამართა და ფრედ - 0:0 ითამაშა. უკრაინული გუნდის ქართველმა ახალწვეულმა მალხაზ ასათიანმა "დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა და მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

მატჩის შემდეგ ასათიანს თამაშს "დინამოს" მთავარი მწვრთნელი იური სიომინი გამოეხმაურა: "მართალი ვთხრობ, არ ველოდი, თუ მალხაზი ფიზიკურად ასე კარგად იქნებოდა მომზადებული. ასათიანმა დამაჯერებლად ითამაშა და დაცვაში საკუთარ პოზიციაზე საიმედოდ გამოიყურებოდა".

კომენტარი გააკეთა თავად ქართველმა ფეხბურთელმა:

"მიმდინარე წელს ეს ჩემი პირველი მატჩი გახლდათ. ცხადია, ძალიან რთული იყო - მე ხომ სულ ორიოდ დღის წინ განვახლებ ვარჯიში. ვგრძნობ, რომ მომატება მჭირდება და ვარჯიშებზე სრულად უნდა დავიხარჯო. იმედი მაქვს, უკრაინის ჩემპიონატის მატჩებს სრულ მზადყოფნაში შევხვდები".

დღეს და ხვალ ბუდაპეშტია

თბილისისა და პარიზის ტურნირების შემდეგ, ესტაფეტა ბუდაპეშტის მსოფლიო თასმა ჩაიბარა. საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების კანდიდატები გუშინ გაუდგნენ უნგრეთის გზას. დღეს და ხვალ კი ასპარეზობებში ჩაერთვებიან. ეგაა, საქართველოს ნაკრები უნგრეთში მწვრთნელის შოთა ხაბარელისა და წამყვანი ძიუდოსტების გარეშე იასპარეზებს.

საქმე ისაა, რომ ხაბარელი და ნაკრების ძირითადი კანდიდატები გასულ უქმებზე ჩატარებული პარიზული მსოფლიოს სუპერთასის შემდეგ, პარიზშივე დარჩნენ სავარჯიშოდ, ბუდაპეშტის ტურნირზე მონაწილეობა კი ფიზიკურად ვერ მოასწრეს.

პარიზულ ერთობლივ შეკრებაში 70-მდე ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა. სავარაუდოდ, სწო-

რედ საფრანგეთში ნავარჯიშევთავან დაკომპლექტდება აპრილში, თბილისის ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელთა შვიდეული. არც ისაა გამორიცხული, რომ შიდა კონკურენციაში რამდენიმე სხვა კანდიდატიც ჩაეროოს.

წონითი კატეგორიების ლიდერთა შესარჩევად ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს წინ ორი ტურნირი

ელის - ჰამბურგის მსოფლიოს სუპერთასი და ვარშავის მსოფლიოს თასი.

რაც შეეხება ბუდაპეშტს, ამ შემთხვევაში უმთვარეს გუნდს მწვრთნელები სულიკო ფეიქრიშვილი და გია გუგავა წარუძღვებიან. მათ გარდა, დედეგაციაშია მერაბ ლოსუერაშვილიც, რომელიც მსოფლიოს თასზე იმსაჯებს.

საქართველოს ნაკრები თითხმეტი წარმომადგენლისგან შედგება. 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებში ყველაზე მეტი - სამ-სამი წარმომადგენელი გვყავს. 81, 90 და 100 კილოგრამებში - ორ-ორი, ხოლო 60 და +100 კილოგრამებში - თითო.

დღეს მედლები 60, 66 და 73 კილოგრამებში გათამაშდება, ხვალ კი, ჩემპიონ-პრიზიორები 81, 90, 100 და მძიმეწონით კატეგორიებში გამოვიწინდებიან.

საქართველოს ნაკრები:

სოსო ნიჟარაძე (60 კგ.), სანდრო იაკობაშვილი, გიორგი გუგუჯიანი, გიორგი ფერასაშვილი (66 კგ.), ლაშა გუმბერიძე, მიხეილ ხომიზური, ამბაკო ავალიანი (73 კგ.), ზვირა ხუციშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი (81 კგ.), გრიგოლ მამრიკიშვილი, ზვიად გოგოჭური (90 კგ.), ლევან რაზმაძე, დავით ლორიაშვილი (100 კგ.), ზვიად ხანჯალიაშვილი (+100 კგ.).

კანკავამ "დნიპრომ" გადაარჩინა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა დნიპროპეტროვსკის "დნიპრომ" რუმინულ "პანდურისთან" საკონტროლო მატჩი გამართა და ქართველი ჯაბა კანკავას გოლის წყალობით 1:1 ითამაშა.

კანკავამ უკრაინული გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში. რუმინელებმა პირველივე ტაიმში აღადგინეს წონასწორობა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

მატჩის მიწურულს იმავე კანკავას ასპროცენტინი მომენტი მიეცა, თუმცა, ახლო მანძილიდან "პანდურის" მეკარე ვერ დაჯაბნა.

ბეკა გოცირიძე საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული და, ცხადია, მინდორზე არ გამოჩენილა. სანდრო კობახიძეს კი მწვრთნელთა გადაწყვეტილებით არ უთამაშია.

ალექსმა ჰიდინკი შეაქო

ლონდონის "ჩელსის" ბრაზილიელმა მცველმა ალექსმა საკუთარი აზრი გამოთქვა გუნდის მთავარ მწვრთნელად გუს ჰიდინკის დანიშვნის შესახებ.

"ჰიდინკი კარგი მწვრთნელი და შესანიშნავი ადამიანია. როდესაც "სანტოსში" ვიყავი, ჰიდინკი სპეციალურად ჩამოფრინდა ბრაზილიაში, რომ ჩემი თამაში ენახა და გამსაუბრებოდა. შემდეგ ერთად ვმუშაობდით პსევ-ში, რომლის შემადგენლობაში ორჯერ გავხდი ჰოლანდიის ჩემპიონი. ვფიქრობ, ახლაც იმდროინდელი პსევ-ს სქემით ვითამაშებთ. როდესაც ეინდჰოვენში გამოვდიოდი, ვიყენებდით წყობას 4-3-3," - განაცხადა ალექსმა.

ვან ბუიტენი რიბერის "ზაიერნში" ტოვებს

მიუნხენის "ზაიერნის" 31 წლის ბელგიელი მცველი დანიელ ვან ბუიტენი ფიქრობს, რომ ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი, რომლის გადაბრუნებაც არაერთ ვეროპულ ბოლოა გუნდს უნდა, კლუბიდან არ წავა.

"ჩემი აზრით, ფრანგი ჩემი არ დავტოვებ, - აღნიშნა ფეხბურთელმა, - ვიცი, რომ აქ ის ძალიან ბედნიერია. გუნდმა მისთვის ბევრი რამ გააკეთა. "ზაიერნი" სწორედ ის კლუბია, რომლის შემადგენლობაში თამაში მას ყოველთვის ენადა."

ვან ბუიტენი ფრანგის უახლოეს მეგობრად ითვლება, რომელსაც ეს უკანასკნელი თავის პირად პრობლემებსა და საფეხბურთო ცხოვრებაზე უამბობს ხოლმე. ამდენად, რიბერი რომ სადმე გადასვლაზე ფიქრობდეს, ის თავის ბელგიელ მეგობარს ამას უთუოდ ეტყობა.

კინგს სასამართლო ელის

"მიდლსბროსა" და იამაიკის ნაკრების 28 წლის თავდამსხმელ მარლონ კინგს საქსუალური ძალადობისა და სხეულის დაზიანების ბრალდებით გაასამართლებენ.

სკოტლანდ იარდის ინფორმაციით, კინგი დეკემბერში, ერთ-ერთ ლონდონურ ბარში, 20 წლის გოგონას ნაეპოტინა როცა უარი მიიღო, მას სახეში გაარტყა. გოგონას ცხვირი გაუტყდა და ტური გაუსკდა.

ინციდენტიდან სამ დღეში კინგი დააკავეს, შემდეგ კი გირაოთი გაათავისუფლეს. მას თებერვლის ბოლოს გაასამართლებენ.

კინგი "უიგანის" წევრია - სეზონი მან "ჰალ სიტში" გაქირავებულმა დაიწყო, "მიდლსბროში" კი ახალი წლიდან გამოდის.

ის ლონდონში დაიბადა და 2004 წლიდან იამაიკის ლირსებას იცავს.

პეტრიჩი ორი მატჩით მოიკვება

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა "ჰამბურგის" 28 წლის შვეიცარიელი თავდამსხმელი მლადენ პეტრიჩი შაბათს "კარლსრუესთან" წაგებულ მატჩში გამოვლენილი უხეშობისთვის ორი თამაშით მოკვება.

იმ მატჩში პეტრიჩმა "კარლსრუელ" მარკო ენგელ-ჰარდტს ხელი ჰკრა, რის გამოც მსაჯისგან წითელი ბარათი დაიმსახურა.

მადლიერი მუტუ

ადრიან მუტუს სურს საფეხბურთო კარიერა ფლორენციის "ფიორენტინაში" დაასრულოს.

ცოცხალი ნინ 30 წლის რუმინელმა ფეხბურთელმა ახალი შეთანხმება 2012 წლამდე გაახანგრძლივა, თუმცა დღესვე აცხადებს, რომ, თუ "ფიორენტინას" ხელმძღვანელობა ისურვებს, მზადაა კონტრაქტის ვადა კიდევ უფრო გაზარდოს.

მუტუ დიდად მადლიერია ფლორენციული კლუბისა, რომელმაც მას, "ჩელსიში" თამაშისას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალში გახვევის შემდეგ, საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესანიშნავი მისცა.

"გუნდთან კიდევ გავაფორმებდი კონტრაქტს. ჯოჯოხეთის გავლა მომიხდა, მაგრამ ამ ყველაფერს თავი დავაღწიე. საბედნიეროდ, აქ მეორე შანსი მომეცა", - განაცხადა მუტუმ.

ძოლას "ვესტ ჰემში" დარჩენა სურს

ჯანფრანკო ძოლამ ლონდონის "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად მისი შესაძლო დანიშვნის შესახებ კომენტარი გააკეთა.

მირჩევნია ვისაუბრო "ვესტ ჰემზე" და არა სხვა კლუბებზე. მოხარული ვარ, რომ ჩემით დაინტერესდნენ, მაგრამ აქ დარჩენას ვაპირებ. სამწვრთნელო სამუშაო ძალიან რთულია. ყველაფრის დაგეგმვა, გათვლა, მოთამაშეთა შეცვლა და გუნდის ტონუსში ყოფნა საჭირო. შეიძლება სხვა გუნდში ორთვიანი მუშაობის შემდეგ ხელმძღვანელობას მეც დავეთხოვე პოსტიდან. დამრიგებლებს დრო სჭირდებათ," - დასძინა ძოლამ, რომელიც "ვესტ ჰემს" 2008 წლის შემოდგომიდან უდგას სათავეში.

მსაჭი რომ არა...



ხიზანიშვილმა ირლანდიელები გააფრთხილა

ოთხშაბათს დუბლინში გამართულმა მატჩმა დაგვანახა, რომ საქართველოს ნაკრები სწორ გზას ადგას და თუ არგენტინელ სპეციალისტს დასცალდა, ალბათ სულ მალე კარგი გუნდი გვეყოლება.

თავად მატჩმა კი უდიდესი იმედგაცრუება გამოიწვია. ყველას კარგად ესმის, რომ ფინელი მსაჯის მიერ გამოგონილი პენალტის გარეშე ირლანდიელები იმ თამაშის მომგები არ იყვნენ და იქნებ კუპერს დუბლინიდან სამი ქულაც წამოეღო.

ამ თამაშის შემდეგ არაერთი კომენტარი გაკეთდა. მაგალითად, რობი კინმა განაცხადა, რომ ის მომენტი, უბრალოდ, ვერ დაინახა და არ იცის, იყო თუ არა პენალტი. სამაგიეროდ ყველაფერი კარგად დაინახა საქართველოს ნაკრებისა და "ბლეკბერნის" მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელმაც Herald-თან საუბარში აღნიშნა, რომ მსაჯმა პენალტი მოიგონა და ამ მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის პრაქტიკული შანსი აღარ აქვს. ზურამ ირლანდიელებზეც გააფრთხილა და ბრიტანული გაზეთის საშუალებით ტრაპატიონის შეგირდებს უთხრა, რომ თუ ისინი ასევე გააგრძელებენ თამაშს, შესაძლოა ჩვენსავით მუნდიალს მიღმა დარჩნენ.

"თუ ირლანდიელებმა იგივე თამაში აჩვენეს, რაც ჩვენთან, იტალიის ნაკრებს პრობლემა არ შეექმნება. ეგ კი არა, ასეთი თა-

მაში შესაძლოა დანარჩენ მეტოქეებთანაც გაუჭირდეთ. ირლანდიის ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მათ შორის ჩემი თანაგუნდელები კეიტ ენდრიუსი და სტივენ რიდიც არიან. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონებთან მათი გათანაბრება მაინც ძნელია, - თქვა ხიზანიშვილმა და

შემდეგ ფინელ მსაჯზეც ისაუბრა, - პენალტი? ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რაც კი მსაჯის მხრიდან ჩემი კარიერის განმავლობაში მინახავს. ირლანდიელთა მხრიდან სუსტ თამაშსა და ადრეულ გოლს ნამდვილად არ ველოდით, თუმცა, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ აენყო. მეორე

საუკეთესო იყო დაცვა და იაშვილი



არველაძემ იაშვილი გამოარჩია

ირლანდია-საქართველოს მატჩი, რომელიც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ეგვიპტის გაიმართა, კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ ქართველ გულშემატკივრებს. თამაში, რომელიც შესაძლოა ჩვენი გამარჯვებით დასრულებულიყო, მსაჯის უფიცობის გამო ირლანდიელთა მიერ სამი ქულის ადებით დამთავრდა.

ამ მატჩთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორმა არჩილ არველაძემ "ფონდი არველაძის" ვებ-გვერდის ჟურნალისტთან საუბარში.

მისი აზრით, ამ მატჩში ქართველთაგან საუკეთესო ალექსანდრე იაშვილი იყო, პენალტის გასწვება კი არველაძემ აღარ ისურვა.

"ირლანდიასთან საქართველოს ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ხუთმა

ფეხბურთელით ითამაშა. ისინი ინგლისური პრემიერლიგის ფეხბურთელებს ეპაექრებოდნენ. მიუხედავად ამისა, ირლანდიას დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ, პირველ ტაიმში მეტოქეს უმნიშვნელო უპირატესობა

ჰქონდა. პირველი გოლის ფაქტორი მნიშვნელოვნად დაეხმარა ჩვენს ნაკრებს. ასეთ დასაინან მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. გიორგი ლომიაიმ დამაკმაყოფილებლად ითამაშა. რაც შეეხება ჩვენს დაცვას,

ტაიმიც ნორმალურად დავინწყეთ, მაგრამ არბიტრმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. იქ პენალტის მსგავსი არაფერი ყოფილა. ამაში ასი პროცენტით ვარდარწმუნებული. ჩვენს მცველს ბურთი ხელზე არ მოხვედრია და რომელ თერთმეტმეტრიანზეა საუბარი? გაშვებულმა გოლმა საქართველოს ნაკრებზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ირლანდიელებს 20 წუთი ჰქონდათ დარჩენილი და მათ ზენოლის გაძლიერების ხარჯზე სანადელს მიაღწიეს".

ხიზანიშვილმა ისიც თქვა, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა, პრემიერლიგის მოთამაშეებით სავსე ირლანდიასთან თანასწორად თამაში გაუჭირდათ. იმის კვალობაზე, რომ 55 ათასი ქომავის თვალწინ ძლიერ მოტივირებულ ირლანდიასთან ვითამაშობდით, ცუდად არ გვიასპარეზია. არც ის უნდა დაგვაფიქრდეს, რომ საქართველოს ნაკრებში არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც ეროვნული ნაკრების ღირსებას მეორედ თუ მესამედ იცავდნენ. 90 წუთის განმავლობაში მინდორზე ყველაფერი დავდეთ, თუმცა მაინც იმედგაცრუებულნი დავრჩით. ორი ქულის ამარა დარჩენილ საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ციკლის დასაძლევად ყველა მატჩის მოგება სჭირდება, რაც არარეალურად მეჩვენება".

ჭიჭი რეჟანში დაბეგმა

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ტრავმის გამო კარგა ხანს უქმობდა. ჯიჯი თავის გუნდს მნიშვნელოვან დროს უზრუნველბდა - "იუვენტუსს" იტალიის ჩემპიონატში, სულ მცირე, სამეულში მოხვედრა სწავლია და მალე ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფიც უნდა გაიმართოს.

იტალიელმა ჟურნალისტებმა ბუფონთან ინტერვიუ ბრაზილიასთან წაგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ ჩაწერეს.

- მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამხანაგური მატჩი წააგეთ, ბრაზილიასთან დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულია. ამაზე ლიპის განცხადებებიც მეტყველებს. მან თქვა, რომ ეს მსოფლიო

ფეხბურთის დერბია. ეს მარცხი თქვენს მომავალ თამაშზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

- მიჭირს ამის თქმა, მაგრამ უნდა ვაღიარო. სამშაბათს ლონდონის "ემირატსზე" ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა "სკუადრა აძურას" აჯობა. მართალია, უმანსოდ არც ჩვენ გამოვიყურებოდით, მაგრამ პირველი ტაიმი პირნიმინდად ჩავაფლავეთ, მეორეში ოდნავ გამოვასწორეთ ვითარება, მაგრამ თამაშის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად საკმარისზე მეტი დრო გვაქვს. თუ სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე ბრაზილიასთან მოგვიხდა შეგება, გარწმუნებთ, შედეგი რადიკალურად განსხვავებული იქნება.

- ახლა იტალიის ჩემპიონატზეც ვთქვით. "ინტერს" 7 ქულით ჩამორჩები, თქვენს უშუალო მდევარ "მილანს" კი მინიმალური სხვაობით უსწრებთ...

- არ დავაფიქრებ, რომ კვირას "სან სიროზე" "მადონინად" წოდებული მორიგი დერბი ჩატარდება. კარგი იქნება, თუ "ინტერი" და "მილანი" ორ-ორ ქულას დაკარგავენ. ჩემპიონატის რთული ფინიში გველის, მაგრამ "იუვენტუსის" შესაძლებლობების ღრმად მწამს და "სკუადეტოს" მოსაპოვებლად ჩემპიონატის ბოლომდე ვიბრძობე. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შანსის ბოლომდე გამოყენებას ვეცდებით.

- რას გვეტყვით მომდევნო მატჩზე?

- "სამპდორიასთან" რთული შეხვედრა გველის. გენუელებს მალე კვალიფიკაციის მწვრთნელი შყავთ ვალტერ მაცარის სახით, გუნდში კი ერთბაშად რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ირიცხება. კასანო, პალომბო, პაცინი და ბელუჩინი ნებისმიერ გუნდს თავსატეხს გაუჩენს. მართალია, "სამპა" სატურნირო ცხრილში მეთხუთმეტე ადგილზეა, მაგრამ ზღვისპირეთა პოტენციალს ეს ადგილი რეალურად არ ასახავს. მომავალ კვირას "იუვენტუსი" აუცილებლად შეეცდება "სამპდორიას" დამარცხებას, შემდეგ კი მაცარისა და მის ბიჭებს წარმატებას ვუსურვებ.

ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო ბანცხადებაში

2009 წლის 30 იანვარს შს სამინისტროს მიერ უნიფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში შესყიდვის ობიექტის რიგ ლოტებში შეიცვალა რაოდენობები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	დასახელება	განზ	რაოდენობა
1	ქუდი წინაფრიალი (უბნის ინსპ.)	()	300
	ქუდი თბილი (უბნის ინსპ.)	()	1200
	ქუდი კეპიანი (დეტექტივის)	()	1300
2	შარვალი (ზაფხულის) უბნის ინსპ.	()	7100
	შარვალი (ზამთრის) უბნის ინსპ.	()	4500
	შარვალი რუხი (იზოლატორი)	()	700
	შარვალი მუქი ლურჯი (სამორიგეო)	()	150
3	პერანგი გრძელი მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი (უბნის ინსპ.)	()	14000
	პერანგი მოკლე მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი (უბნის ინსპ.)	()	20000
	პერანგი გრძ. რუხი (იზოლატორი)	()	700
	პერანგი გრძელი მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი, (სამორიგეო)	()	150
4	მაისური თეთრი	()	20400
	მაისური მუქი ლურჯი (იზოლატორი)	()	700

	მაისური ღია დამცავი, რუხი (სამორიგეო)	()	150
5	პულვერი ღია ლურჯი (უბნის ინსპ.)	()	2000
	პულვერი ღია ლურჯი ნაცრისფერი ტონალობით (იზოლატორი)	()	480
6	ქურთუკი ღამი სეზონური (უბნის ინსპ.)	()	500
	ქურთუკი თბილი (უბნის ინსპ.)	()	1500
	ქურთუკი თბილი (დეტექტივის)	()	700
	ქურთუკი (იზოლატორის)	()	100
	ქურთუკი (სამორიგეო)	()	60
	ქილეტი უსახელო (დეტექტივის)	()	1600
7	საწვიმარი ლაბადა (უბნის ინსპექტორის)	()	1500
	საწვიმარი ლაბადა შინდისფერი (დეტექტი)	()	600
8	კოკარდა	()	1500
	სამკლავე	()	600
	სამხრის ორნამენტი (ვაზის ფოთოლი)	()	2200
9	ქამარი შარვლის	()	3000
10	ჰალსტუხი	()	5000

სატენდერო კომისია

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს: სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტიN1

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სარემონტო სამუშაო.

(ქ.თბილისის კოსტავას N71 -ის მიმდებარე ტერიტორია). ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვე

ლოტიN2

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს III განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო სამშენებლო სარემონტო სამუშაო. (ქ.თბილისის ნუცუბიძის პლატო I მ/რ, I კვ.). ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე

ლოტიN3

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარის დაგება. (ქ.თბილისი დიღმის მასივი II კვ. კ.ჩალაძის ქ.N1). ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე

ლოტიN4

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე რკინის ბეტონის ლობის და მსუბუქი კონსტრუქციების ავტოსამრეცხაოს მოწყობა. (ქ.თბილისი დიღმის მასივი II კვ. კ.ჩალაძის ქ.N1). ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე

2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. პრეტენდენტებს შემსყიდველი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვიტორის წარმოდგენის შემდგომ 2009 წლის 13 მარტის 17:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ.N1, შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

4.სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით გადახდილ უნდა იქნეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში შემდეგ რეკვიზიტებზე:

სახელმწიფო ხაზინა N220101222
სახაზინო კოდი 302003174
ანგარიშსწორების ანგარიში N200122900

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

მიუთითეთ: გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ სამშენებლო, სარემონტო სამუშაოს შესყიდვაზე.

6. პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ერთი ასლი) 2009 წლის 16 მარტის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვ. ჩალაძის ქუჩა N1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 16 მარტს 15:00 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

8.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

ბ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი)

8.2 ფიზიკური პირთათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

8.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირთათვის:

ა) ცნობა- საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. ბ) ცნობა- სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა- შს სამინისტროდან, რომ ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ე) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არა არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ვ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება ასევე ქვეკონტრაქტორებს თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

ზ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელი და გვარი:

9. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-8 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.**

12. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების 1% უზრუნველყოფის საბანკო გარანტია და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% საგარანტიო მექანიზმი.

13. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია პრეტენდენტს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან; თეიმურაზ კობალაძე, მია ჩადუნელი ტ: 41-41-01. 41-42-74. მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ.N1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს სატენდერო კომისია

-----1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.


ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

იანკოვიჩი ფედერერზე ბაკაპასებულა



იანკოვიჩი პირველი ჩოგნის სტატუსის დასაბრუნებლად იბრძვის

როგორ ფედერერმა, რომელსაც 4,5 წლის განმავლობაში ATP რეიტინგის პირველი საფეხური ეკავა, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეიტინგის პირველი ნომერი ვალდებულია, სულ ცოტა, დიდი სლემის ერთი ტურნირი მაინც ჰქონდეს მოგებული.

შვეიცარიელის ნათქვამი გულზე მწარედ მოხვედრია ელენა იანკოვიჩს. საქმე ის არის, რომ სერბმა ჩოგბურთელმა 2008 წელი პირველი ჩოგნის სტატუსით დაასრულა (წლელს ავსტრალიის ლია ჩემპიონატის დამთავრებისთანავე იანკოვიჩმა პირველის სტატუსი დაკარგა. - რედ.). ფედერერის აზრით, იანკოვიჩისთვის ასეთი სტატუსი გადაჭარბებულია - იანკოვიჩმა მისთვის ერთადერთი აშშ-ის ლია ჩემპიონატის ფინალი წააგო.

იანკოვიჩს არ გამოპარვია ფედერერის ნათქვამი ნოვაკ ჯოკოვიჩის მისამართით. ეს მაშინ, როდესაც ელენას თანამემამულემ ავსტრალიის ლია ჩემპიონატის მეოთხედფინალში ამერიკელ ენდი როდიკთან თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. მაშინ როგორც უთქვამს, თუ ჩოგბურთელს ძალა არ შესწევს კორტზე ბოლომდე დაი-

ხარჯოს, სჯობს საერთოდ არ ითამაშოს. "მსგავსი საექციელი კრიტიკას არ უნდა იმსახურებდეს. რაკი ნოვაკმა ორთაბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა, ესე იგი, ამის მიზეზი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში მისთვის პრეტენზიის წყენების საფუძველს ვერ ვხედავ".

ავსტრალიის ლია ჩემპიონატზე არცთუ შთაბეჭდავი გამოსვლის შემდეგ (მერვედფინალში ფრანგ მარიონ ბარტოლისთან დამარცხდა), იანკოვიჩს დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისთვის, რომ დაკარგული პოზიცია დაიბრუნოს. სერბი ჩოგბურთელი მსოფლიო რეიტინგში ამერიკელ სერენა უილიამსსა და რუს დინარა საფინას ჩამორჩება.

იმავე რეიტინგში დასაწინაურებლად იანკოვიჩმა გუშინ ერთი ნაბიჯი გადადგა პარიზში მიმდინარე WTA ტურნირზე, სადაც მან მასპინძელ ალიზე კორნეს სამ სეტში - 5-7, 6-4, 6-4 მოუგო და ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

თვალის მიკროქირურგიის ჯანვრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

SLT-ლაზერი გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ბაზგაპანეთი სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავეზრუნოთ ბავშვები თავიანთი ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შეტანილი იქნას ცვლილება ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 07 თებერვალს გაზეთ „24 საათში“ ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ რაიონის ტერიტორიაზე კაპიტალურად და მიმდინარედ შესაკეთებელ ქუჩებში და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ავარიული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

სატენდერო კომისია

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

მიმდინარე წლის 10 თებერვალს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მომსახურების(სერვისის) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შევიდეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი (რემონტი) უნდა განხორციელდეს ქ. ქუთაისში და ქ. თბილისში (მინიმუმ 5 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ერთდროულად).

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს საწვავ-საბოხი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო სახაზინო, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მუდითი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი ცხრა აპრილის ქ. №4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
№1	დიზელის ძრავის ზეთი 20W50	ლიტრა	4000	ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივი მოთხოვნის შესაბამისად 2009 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5
№2	ზეთი ბენზინის ძრავის 20W50	ლიტრა	1000		
№3	ლიტოლ 24	კგ	1000		
№4	ნიგროლი SAE-140 GL-1	ლიტრა	400		
№5	ზეთი ტრანსმისიის 80W90	ლიტრა	1400		
№6	სამუხრუჭე სითხე DOT-4	ლიტრა	320		
№7	ანტიფრიზი გაუზავებელი (- 40 გრადუსიანი)	ლიტრა	4000		
№8	ზეთი ჰიდრაულიკის I-40A	ლიტრა	400		
№9	დიზელ-გენერატორის ძრავის ზეთი 15W40	ლიტრა	700		
№10	ელექტრო-გენერატორის ძრავის ზეთი (ბენზინი) 10W40	ლიტრა	300		

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 14 თებერვლიდან იმავე წლის 10 მარტის 11.00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ორ ვებგვერდზე (ერთი ორიენტირებული და ერთი ასლი) 10 მარტის 11.00 საათიდან 13.20 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. №4, მე-2 სართული, ოთახი 202.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა – საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
- ბ) ცნობა – ცნობა – საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- გ) ცნობა – სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

4.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა – საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.
- ბ) ცნობა – საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ინდირა გოვილაჯა ტელ. 41-21-48, 899- 21-49-59. არჩილ საგანელიძე 877 – 26-90-30

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ООО "КазТрансГаз-Тбилиси" объявляет о проведении открытого конкурса по закупке страховых услуг автотранспорта и имущества

Полный перечень закупаемых услуг, их объём, место и сроки оказания, а также подробная спецификация указаны в конкурсной документации.

К конкурсу допускаются все потенциальные поставщики, отвечающие следующим квалификационным требованиям. Потенциальные поставщики должны:

- обладать гражданской правоспособностью для заключения договора о закупках;
- обладать профессиональными знаниями, опытом, репутацией на соответствующем рынке закупаемых услуг не менее одного года, финансовыми, материальными и трудовыми ресурсами для исполнения обязательств по договору о закупках;
- являться платежеспособным, не находится на стадии ликвидации, на его имущество не должен быть наложен арест, его финансово-хозяйственная деятельность не должна быть приостановлена в установленном законодательством Грузии порядке;
- не иметь просроченной задолженности по уплате налогов и других обязательных платежей в бюджет и в банке (банках).

Пакет конкурсной документации можно получить с 9:00 до 18:00 часов по адресу: Грузия, г. Тбилиси, ул. А. Мицкевича №18а, кабинет №101, Отдел материально-технического снабжения и контрактов.

Конкурсные заявки на участие в конкурсе, запечатанные в конверт, представляются (направляются) потенциальными поставщиками в ООО "КазТрансГаз-Тбилиси" по адресу: Грузия, г. Тбилиси, ул. А. Мицкевича №18а, кабинет №101, Отдел материально-технического снабжения и контрактов.

Окончательный срок представления конкурсных заявок до 10:00 часов 05 марта 2009 года.

Конверты с конкурсными заявками будут вскрываться в 11:00 часов 05 марта 2009 года по следующему адресу: Грузия, г. Тбилиси, ул. А. Мицкевича №18а.

Потенциальные поставщики могут присутствовать при вскрытии конвертов с конкурсными заявками.

Дополнительную информацию и справки можно получить по телефону: 38-49-16 (вн.тел.: 127), 879970712.

შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" აცხადებს ღია კონკურსს ავტოსატრანსპორტისა და ქონების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვაზე

შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი, მოცულობა, განვეის ადგილი და ვადები, აგრეთვე დანერგვითი სპეციფიკაცია მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

კონკურსზე დაიშვება ყველა პოტენციური მიმწოდებელი, რომელიც პასუხობს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- შესყიდვებზე ხელშეკრულების დასადავად უნდა გააჩნდეს სამოქალაქო სამართალუნარიანობა;
- უნდა გააჩნდეს პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, რეპუტაცია სათანადო მომსახურების ბაზარზე არანაკლებ ერთი წლის კეთილსინდისიერი მოღვაწეობისა, ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსები შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- უნდა იყოს გადაუხდელოუნარიანი, არ იმყოფებოდეს ლიკვიდაციის სტადიაში, მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მისი ფინანსური და სამეურნეო საქმიანობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- არ უნდა გააჩნდეს ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და სხვა აუცილებელი საბანკო ან საბიუჯეტო გადასახადების დავალიანება.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 09:00 საათიდან 18:00 საათამდე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. ?18ა, კაბინეტი ?101, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და კონტრაქტების განყოფილება.

დალუქულ კონვერტში მოთავსებული საკონკურსო განაცხადი პოტენციურმა მიმწოდებლებმა უნდა წარადგინონ (გააგზავნონ) შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. ?18ა, კაბინეტი ?101, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და კონტრაქტების განყოფილება.

საკონკურსო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 2009 წლის 05 მარტი 10:00 საათი. საკონკურსო განაცხადების კონვერტები გაიხსნება 2009 წლის 05 მარტს 11:00 საათზე შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. ?18ა.

პოტენციურ მიმწოდებლებს შეუძლიათ დაესწრონ საკონკურსო განაცხადების გახსნას. დამატებითი ინფორმაციისა და ცნობების მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე: 38-49-16 (შიდა ტელ.: 127), 879970712.



განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქუჩა N1, მომსახურე ბანკი - ს.ს. საქართველოს სახალხო ბანკის აბაშის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი - N222448643, ანგარიშის N3303005, ტელ/ფაქსი - 8 (212) 9-18-35) აცხადებს ტენდერს ქ. აბაშის საკანალიზაციო ქსელის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მასში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ევკელა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად:
ლოტი N1 - ქ. აბაშის საკანალიზაციო ქსელის ცენტრალური მაგისტრალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N2 - ქ. აბაშის კანალიზაციის შიდა ქსელის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერა მოცემულია დეფექტურ აქტში (განუფასებელი ხარჯთაღრიცხვა), რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

სარემონტო სამუშაოების დამთავრების სავალდებულო ვადაა 2009 წლის 30 სექტემბერი.

პრეტენდენტი იურიდიული და მენარმე ფიზიკური პირებიდან წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის საკვალიფიკაციო მონაცემები (საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა აგრეთვე სუბკონტრაქტორებზე, თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე):

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული და მენარმე ფიზიკური პირის რეკვიზიტები (საფირმო სახელწოდება, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და ტელეფონის ნომერი);
2. ამონაწერი სამენარმე რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ;
3. წესდება (იურიდიული პირებისათვის);
4. რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ცნობა საგადასახადო ინსუქციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
5. ცნობა გირავნობა-იპოთეკისა და ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
6. ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსუქციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მხოლოდ იურიდიული პირების მიერ);
7. ცნობა, მომსახურე ბანკიდან, საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
8. ინფორმაცია, ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ და ამჟამად მიმდინარე ანალოგიური მინორების შესახებ;
9. ინფორმაცია, ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული და მენარმე ფიზიკური პირების, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
10. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
11. ცნობა საქართველოს შ.ს. სამინისტროდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი და მენარმე ფიზიკური პირი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ არის მსჯავრდებული ეკონომიკური და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, ამასთან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის, რომ მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

- პრეტენდენტმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 10 მარტის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: - ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. N1, II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი;

- საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს დედანის ან ნოტარიულად დამტკიცებული ქსეროასლების სახით;

- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აღმოჩნდება ყალბი, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს ასეთი პირის დისკვალიფიკაცია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეიძლება, გაზეთ „24 საათში“ ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ყოველდღე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ და შეწყდება სატენდერო წინადადების გახსნამდე ერთი დღით ადრე, ანუ 9 მარტს, 14 საათზე.

- სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 200 ლარს, რომელიც შეტანილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: - სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, კოდი - 300363174, ბანკი - სახელმწიფო ხაზინა N220101222.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, უფლება ეძლევათ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო აპარატში, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას;

- ზემოთ მითითებულ მისამართზე სატენდერო დოკუმენტაციის გაცემას აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი.

- სატენდერო წინადადება კომისიას წარედგინება დახურული კონვერტით და მისი გახსნა მოხდება სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტთა თანდასწრებით, ან მათ გარეშე, მიმდინარე წლის 10 მარტს, 14 საათზე, შემდეგ მისამართზე: - ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. N1, II სართული, სატენდერო კომისია;

- ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამონებული ჩეკი, აკრედიტივი ან სხვა გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი) ხელშეკრულების ღირებულების 4 პროცენტის ოდენობით;

- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და შემდეგ ტელეფონზე: - 855 155-222; 899 730-896.

სატენდერო კომისია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია განცხადება ტენდერის შესახებ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე სასწავლო მოდულის შემუშავება

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს ღია ტენდერს და ინვესტორს მონაწილეებს, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები საქართველოში ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სასწავლო მოდულის შექმნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კონკურსი ეხება ისეთი მოდულის შექმნას, რომელიც იძლევა საპილოტე ტესტირების შესაძლებლობას და ითვალისწინებს შემდგომ ადაპტირებას. მოდული, მზა პროდუქტის სახით, მომავალში ჩართული უნდა იყოს განათლების ეროვნული სისტემის კურიკულუმში.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 12/03/2009 - 17.00 საათამდე

ტენდერის სრული დოკუმენტი იხილეთ შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე:

<http://www.iom.ge/tender.pdf>

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ დასავლეთ საქართველოში ტელეკომუნიკაციის ქსელის განახლება და გაფართოების სამუშაოს შესყიდვის ტენდერთან (NT1208-G088) დაკავშირებით 28 იანვრის 2009 წლის გაზეთ 24 საათში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნა ცვლილებები და შესაბამისი წინადადებები შეიცვალა შემდეგ

რედაქციით:

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 მარტს 10:00საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში, ოთახი N311“.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 4 მარტს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, მე-2 სართული, სააქტო დარბაზი“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიმდინარე წლის 10 იანვარს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ამბროლაურის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ერ-თი-ჯი“ და მიმდინარე წლის 13 იანვარს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

სატენდერო კომისია

შპს „რიგლის“ წარმომადგენლობა საქართველოში ახდენს ლიკვიდაციას 2008 წლის 31 დეკემბრიდან, დამფუძნებლის (შპს „რიგლის“) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებაო მთავარი სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (სხვადასხვა სახის ჰიგიენური საშუალებების) შესყიდვაზე 2009 წლის 5 თებერვლის გაზეთ „24 საათში“ შეტანილ იქნას ცვლილება:

1. კერძოდ: შესყიდვის ობიექტი დამატოს 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 ლოტი.

ლოტი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების ვადა				იწოდების ადგილი
				I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	
№1 2	თხევადი საპონი	კგ	300	150	150	-	-	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5
№1 3	კერამიკული ფილების საწმენდი-სადეზინფექციო საშუალება	კგ	500	150	100	150	100	
№1 4	შუშების (ფანჯრების) სარეცხი ხსნარი	ბალონი	300	150	-	150	-	
№1 5	ხის იატაკის საწმენდი ხსნარი	ლიტრი	130	130	-	-	-	
№1 6	ქლორი (ფხვნილი)	კგ	120	-	60	60	-	
№1 7	ჭურჭლის სარეცხი საშუალება	კგ	2500	1000	200	1000	300	
№18	ჭურჭლის სახეხი ფხვნილი	კგ	600	150	150	150	150	

სატენდერო კომისია

ბანცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (მისამართი: საქართველო, 4401 ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N52, ტელ-ფაქსი: 8 (293) 2-06-88), საინდ. კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“-ს ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937) აცხადებს კონკურსს მცურავი ერთეულებიდან მოხსნილი ლეალური წყლების რეალიზაციაზე.

- ლეალური წყლების რეალიზაციის საწყისი ფასია: 10,00 ა.შ.შ. დოლარი დ.დ.გ.-ს გარეშე - 1 მ3 ლეალურ წყალზე.

საკონკურსო პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირებმა და-ლუქული საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე.
- საკონკურსო წინადადებების მიღება იწარმოებს განცხადების პუბლიკაციიდან - 2009 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.
- საკონკურსო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 25 თებერვლის 17.00 საათი.
- დალუქული საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამარ-თზე: საქართველო, ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის ქუჩა N52, კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავ-სადგური“-ს ადმინისტრაციული შენობის I-ლი სართული, კანცელარია (ოთახი N101).
- საკონკურსო წინადადებები გაიხსნება მათი მიღების ვადის დასრულებისთანავე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის ქუჩა N52, კორპორაცია „ფო-თის საზღვაო ნავსადგური“-ს ადმინისტრაციული შენობა.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირების საკონ-კურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - საკონკურსო წინადადებას, რომელშიც ნათლად უნდა აისახოს შემოთავაზებული ფასი 1 მ3 ლეალურ წყალზე დ.დ.გ.-ს გარეშე.
 - კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის ფინანსური გა-რანტია 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, კონკურსში დამარცხებულს საკონკურსო წინა-დადების უზრუნველყოფის ფინანსური გარანტია უზრუნველდება უკან საკონკურსო წინადადე-ბის განხილვის შემდგომ, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციას ხელშეკრულების უზრუნველ-

რონი სააბი გენერალური დირექტორი

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს საძილე ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

